

# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№35 (9.844)

15 – 22 სექტემბერი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

## რამდენი აბიტურიენტი გახდა სტუდენტი?

100%-იანი დაფინანსებით:

**მარიამ ბატიაშვილი** – არბოშიკის სკოლა

**რევაზ ჯანყარაშვილი** – დედოფლისწყაროს №1 სკოლა

**ცირა ნატროშვილი** – ზემო მაჩხაანის სკოლა

**სერგი კაპანაძე** – არხილოსკალოს სკოლა

2

## სწორად ადირიცხება თუ არა დენის გადასახადი?

დედოფლისწყაროელები ელექტროენერგიის გაორმაგებულ გადასახადს აპროტესტებენ.

5



5

## შიდა გზების რეაბილიტაცია სოფლებში

# ზემო მაჩხაანში ორის ნაცვლად სამსართულიანი სკოლა აშენდება

შეცვლილი პროექტი და 2 მილიონით გაზარდილი დაფინანსება

3



## რთველი ძალაში შევიდა



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის შპს „თაგლ-111“-ში ქარხანამ უკვე მიიღო და გადაამუშავა 400 ტონა ყურძენი.

3



## დედოფლისწყაროში მზა სადილის საწარმო გაიხსნა

მზადდება სადილის ოთხი სახეობა: ნიგვზიანი ხარჩო მეგრულად, საქონლის ხორცის ფლავი კახურად, ყალია იმერულად და ქათმის ჩახოხბილი.



2

## მრავალშვილიან ფოცხვერაშვილებს ქამერი მოაპარეს

8



## ბრინჯაოს ნივთები აღმოაჩინეს



დედოფლისწყაროში, ნამოსახლარის ტერიტორიაზე მიმდინარე არქეოლოგიური საველე სამუშაოების პროცესში ბრინჯაოს სამეურნეო და საკულტო ნივთები – უნიკალური განძი გამოვლინდა, რომელიც ნაქალაქარის ციტადელის ცენტრალურ ნაწილში მდებარე საკულტო ნაგებობის ინტერიერში, დასავლეთ კედელთან იყო დაუნჯებული, - ამის შესახებ განცხადებას ილიაუნი ავრცელებს. უკვე მეორე წელია, რაც მთა ნაზარლებზე (შირაქი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი) მდებარე გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ნაქალაქარს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიზუალური ანთროპოლოგიისა და ლოკალური ისტორიის ლაბორატორიისა და ჰალეს (გერმანია) მარტინ ლუთერის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის არქეოლოგიისა და ხელოვნების ინსტიტუტის ერთობლივი ექსპედიცია სწავლობს.

როგორც ილიაუნში განმარტავენ, სამოსახლარის ტერიტორიაზე აღმოჩნდა 200-მდე ბრინჯაოს მახვილის იმიტაცია, ასევე ბრინჯაოს ნამგლები, აფთები, სატევრები, მახვილები და, რაც ძალზე საყურადღებოა, ბრინჯაოს ორმხრივპირიანი ცული.

პროექტის ფარგლებში ნაქალაქარის შესწავლა კვლავაც გაგრძელდება და მეცნიერთა შეფასებით, იქ კიდევ ბევრი საყურადღებო აღმოჩენა შესაძლოა განხორციელდეს. ექსპედიციას აფინანსებს გერმანიის მხარე; კვლევითი პროექტი კი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ კიდევ 2007 წელს შემუშავებული საუნივერსიტეტო პროექტის გაგრძელებას წარმოადგენს.

C M Y K

# დედოფლისწყაროში მზა სადილის საწარმო გაიხსნა

***„ერთიანი აგროპროექტის" ფარგლებში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებაში ხორცის გადამამუშავებელი ახალი საწარმო გაიხსნა. მზა საკვების საწარმოში, ჯამურად, 380 660 დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, აქედან, 190 300 დოლარი შეღავათიანი აგროკრედიტი, ხოლო 152 300 დოლარი სახელმწიფოს მიერ გაცემული გრანტია. წითელი ლენტი სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა დედოფლისწყაროს მერთან, ნიკოლოზ ჯანიაშვილთან და საწარმოს დირექტორთან ზურაბ ბალდავაძესთან ერთად გაჭრა. გახსნის ცერემონიას კახეთის რეგიონის გუბერნატორის პირველი მოადგილე ირაკლი შიოშვილი და რეგიონალური მართვის საკითხებში პრემიერმინისტრის მრჩეველი სოზარ სუბარიც ესწრებოდნენ.***

კომპანიაში განმარტავენ, რომ ამ ეტაპზე საწარმოში 20 ადგილობრივი დასაქმდა, თუმცა ეს რიცხვი სამომავლოდ კიდევ გაიზრდება. საწარმოში, წელიწადში 100 ტონაზე მეტი სხვადასხვა სახეობის ხორცის კონსერვების წარმოება იგეგმება. პროდუქციის რეალიზაცია, პირველ ეტაპზე, ადგილობრივ ბაზარზე მოხდება. სამომავლოდ იგეგმება ექსპორტზე გატანაც. როგორც კომპანიაში აცხადებენ, „ჯეონატურალსი" მზა სადილებს 400 გრამიან ქილაში აწარმოებს. მზა სადილის ასორტიმენტი თავდაპირველად შიდა ბაზარზე იქნება წარმოდგენილი, რომელთა ქსელში გასაყიდი ფასი საშუალოდ 10-11 ლარი იქნება. რაც შეეხება ექსპორტს, კომპანიაში აცხადებენ, რომ აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები უკრანასთან, ბელარუსთან და ბალტიისპირეთის ქვეყნებთან. „ჯეონატურალსი" პირველ ეტაპზე 80 ტონა საქონლის ხორცის გადამუშავებას გეგმავს. ხორცის შესყიდვა ადგილობრივ ბაზარზე მოხდება მწარმოებელ ქვეყანად კი ეტიკეტზეც „საქართველო" იქნება მითითებული.

„მზა სადილები დამზადებული იქნება საქონლის ხორცისგან და სხვადასხვა კუთხის ქართული სამზარეულო იქნება წარმოდგენილი. პირველი ეტაპისთვის მომხმარებლებს ნიგვზიან ხარჩოს მეგრულად, საქონლის ხორცის ფლავს კახურად, ყალიას იმერულად და ქათმის ჩახოხბილს შევთავაზებთ. შემდეგ ვეცდებით სხვადასხვა კუთხის სამზარეულოც დავამატოთ. მზა სადილი ამ ფორმით ჯერჯერობით ბაზარზე არ არის საქართველოში. არ შეიცავს არანაირ ხელოვნურ დანამატებს, ინგრედიენტები აქვს ნატურალური, კონსერვანტებისა და ხელოვნური დანამატების გარეშე ვმუშაობთ და ესაა ჩვენი პრიორიტეტი. დღემდე ერთი ქილაც არ გაგვიყიდია, ასე რომ ეს ღონისძიება ფორმალური გახსნა არ არის. გამკაცრებული მოთხოვნებიდან გამომდინარე აუცილებელია, ეტიკეტზე გარკვევით იყოს მითითებული ხორცის წარმომავლობა. ამიტომ ეტიკეტზე მითითებულია „საქართველო" და წარმოების ადგილი „დედოფლისწყარო". ინჟინერ-ტექნოლოგი და მარკეტოლოგი მე ვიქნები. კადრებიც ძირითადად დედოფლისწყაროდან დავასაქმეთ. ორი ცვლის ამოქმედების შემთხვევაში 50-მდე ადგილობრივს დავასაქმებთ. საშუალო ხელფასი 500-600 ლარის ფარგლებში იქნება. როცა საწარმო გაიმართება, მუშახელს საკუთარი დაზღვევა ექნება, ბონუსური სისტემა ამოქმედდება. თუ ყველაფერი წარმატებით განვითარდა, ისე როგორც ჩაფიქრებული გვაქვს,"– აცხადებს „ჯეონატურალსის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ზურაბ ბალდავაძე.



„მნიშვნელოვანია, რომ ქართული წარმოება ავსებდეს სავაჭრო დახლებს. კომპანია „ჯეონატურალსის" პროდუქტი მთლიანად ქართულ ნედლეულზე იქნება დამზადებული, რაც მას გამოარჩევს. არის პირობა, რომ უმაღლესი ხარისხის პროდუქციას შესთავაზებს მომხმარებელს. სწორედ ასეთი ტიპის რაც შეიძლება მეტი საწარმო სჭირდება ჩვენს ქვეყანას, ამიტომაც სამინისტრო მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს მხარდაჭერისა და თანადაფინანსების პოლიტიკას," – აღნიშნა მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა.

2018 წლის აგვისტოში, კომპანიაში, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მხარდაჭერით, სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტი - ISO 22 000 დაინერგა.

სახელმწიფოს ფინანსურმა მხარდაჭერამ მეწარმეებს წარმოების განვითარება-გაფართოებისთვის დამატებითი ბიძგი მისცა. 2013 წლიდან დღემდე, სახელმწიფოს დახმარებით, „ერთიანი აგროპროექტის" ფარგლებში, 173 ახალი საწარმო დაფინანსდა. აქედან, კახეთის რეგიონში 57 ახალი საწარმო შეიქმნა. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო „ერთიან აგროპროექტს" ახორციელებს, რომელიც გრძელვადიან განვითარებაზეა გათვლილი და მისი მიზანი ისეთი გარემოს შექმნაა, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდასა და სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას.

ილია მარტყოფლიშვილი

# ახალი მმართველი დაინიშნა

უკვე ერთი თვეა, „ლიბერთი ბანკის" დედოფლისწყაროს ფილიალში სასიამოვნო სიახლე გვაქვს. 2018 წლის 17 აგვისტოდან მას ახალი ხელმძღვანელი ჩაუდგა სათავეში. კარგად აღზრდილ, ნიჭიერ, ენერგიულ და კომუნიკაბელურ ახალგაზრდას – ლევან ოზბეთელაშვილს დედოფლისწყაროელები კარგად იცნობენ თავისი გამორჩეული თავაზიანობით ჯერ კიდევ „საქართველოს ბანკიდან". ნებისმიერ კლიენტს, რაც არ უნდა ეკითხა ან დახმარებისთვის მიემართა, თავის ცოდნა-გამოცდილებას არ იშურებდა, რომ ყოველდღიური პრობლემებისგან გადაღლილი რიგითი მოქალაქეებისთვის, შესაძლებლობების ფარგლებში, დახმარება აღმოეჩინა ან სრულყოფილი პასუხით გაესტუმრებინა, რის გამოც უკვე ძალიან ბევრი მადლიერი ადამიანი ჰყავს მას ამ პატარა რაიონში...



მინი დოსიე: ლევან ოზბეთელაშვილი დაიბადა 1986 წლის 7 დეკემბერს, ქ. დედოფლისწყაროში. 2004 წელს დაამთავრა ქ.დედოფლისწყაროს №1 საშუალო სკოლა, იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე, 2009 წელს მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური. 2012 წლიდან 2018 წლის 16 აგვისტომდე მუშაობდა სს „საქართველოს ბანკის" დედოფლისწყაროს ფილიალში სხვადასხვა პოზიციაზე.

2018 წლის 17 აგვისტოდან დაინიშნა სს „ლიბერთი ბანკის" დედოფლისწყაროს ფილიალის მმართველად. არის დასაოჯახებელი.

„ლიბერთი ბანკს", საქართველოს მასშტაბით ფილიალების უდიდესი ქსელი აქვს. დღეს ქვეყანაში სულ 16 კომერციული ბანკია 142 ფილიალით.

ელზა ხარაშვილი

# ნიკოლოზ ჯანიაშვილი უკრაინელ ინვესტორებს შეხვდა




უკრაინელი ინვესტორები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს ეწვივნენ და მუნიციპალიტეტის მერს, ნიკოლოზ ჯანიაშვილს შეხვდნენ. დელეგაციის წევრები დედოფლისწყაროს საინვესტიციო გარემოთი და პოტენციალით დაინტერესდნენ. ამის შესახებ მათ დეტალური ინფორმაცია პირადად ნიკოლოზ ჯანიაშვილისგან მიიღეს.

უკრაინელ ინვესტორებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 100 ჰექტარი ზეთისხილის პლანტაცია აქვთ გაშენებული. სამომავლოდ ისინი აღნიშნული ბიზნესის გაფართოებას და ინვესტიციების გაზრდას გეგმავენ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი უკრაინელ ბიზნესმენებს მხარდაჭერას შეჰპირდა და აღნიშნა, რომ მიესალმება უკრაინელი ინვესტორების საქმიანობას დედოფლისწყაროში, რაც მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ წინსვლასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს.

შეხვედრის დასასრულს უკრაინული დელეგაციის წარმომადგენლებმა ნიკოლოზ ჯანიაშვილთან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობასა და მისი გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინტერვიუ ჩაწერეს.

# გზა წარმატებული მომავლისკენ

**წელს ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლების კურსდამთავრებულებმა მთლიანობაში კვლავ საუკეთესო შედეგები დადეს და წარმატებით ჩაირიცხნენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, საკმაოდ ბევრმა მოიპოვა მაღალი გრანტი, მათ შორის გვყავს ოთხი 100%-ანი გრანტის მფლობელი სტუდენტი.**

**კითხვაზე, თუ რას ნიშნავს კურსდამთავრებულთა წარმატება სკოლებისთვის და მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სისტემისთვის, პასუხი ცალსახაა – მიღებული შედეგები სკოლების ეფექტურ მუშაობას კიდევ ერთხელ ადასტურებს და სხვა მოსწავლეებს უკეთ სწავლის სტიმულს აძლევს.**

**„შირაქის" რედაქცია არც ახლა ღალატობს ტრადიციას და მკითხველს ვთავაზოთ 2017-2018 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის ზოგად მონაცემებს:**

| № | საჯარო სკოლის დასახელება | კურსდამთავრებულთა რაოდენობა | უმაღლესში ჩარიცხულთა ოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | სსიპ ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლა | 36 | 33 |
| 2 | სსიპ ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლა | 32 | 23 |
| 3 | სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლა | 25 | 3 |
| 4 | სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლა | 16 | 8 |
| 5 | სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა | 23 | 4 |
| 6 | სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლა | 11 | 7 |
| 7 | სსიპ პროფესორ ავთანდილ პოპიაშვილის სახელობის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლა | 15 | 7 |
| 8 | სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზაანის საჯარო სკოლა | 7 | 2 |
| 9 | სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის №1 საჯარო სკოლა | 15 | 8 |
| 10 | სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის №2 საჯარო სკოლა | 10 | 7 |
| 11 | სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლა | 17 | 10 |
| 12 | სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლა | 18 | 11 |
| 13 | სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლა | 11 | 2 |
| 14 | სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ფიროსმანის საჯარო სკოლა | 5 | 0 |
| 15 | სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საბათლოს საჯარო სკოლა | 2 | 0 |

# ზემო მაჩხაანში ორის ნაცვლად სამსართულიანი სკოლა აშენდება

## შეცვლილი პროექტი და 2 მილიონით გაზრდილი დაფინანსება

***უკვე სამი წელია, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანს ახალი სასწავლო წლის დაწყება სკოლის გარეშე უწევს. სკოლის შენობა სამი წლის წინ გაჩენილი ხანძრის შედეგად მთლიანად განადგურდა. დამწვარი შენობა აღდგენას აღარ ექვემდებარებოდა, ამიტომ სამინისტრომ ძველის დემონტაჟი და თანამედროვე სტანდარტების ახალი სკოლის მშენებლობა დაანონსა. ეზოში წელიწადზე მეტია დაიდგა ბანერი, რომელზეც სკოლის ახალი შენობაა გამოსახული, პროექტის მიხედვით მშენებლობა მიმდინარე წლის იანვრიდან უნდა დაწყებულიყო და 2019 წელს დასრულებულიყო, მაგრამ მაჩხაანელები სოფელში მუშების გამოჩენას ამ დრომდე უშედეგოდ ელიან. ადგილობრივები ამბობენ, რომ სხვადასხვა შენობებში გადანაწილებულ დროებით კლასებში სიარული მოსწავლეებსაც უჭირთ და პედაგოგებსაც. „შირაქის" ინფორმაციით, ზემო მაჩხაანში ახალი სკოლის მშენებლობისთვის განათლების სამინისტრომ ტენდერი ახლა გამოაცხადა.***

როგორც „შირაქმა" ექსკლუზიურად გაარკვია, ჯამური თანხა 2 მილიონი ლარით გაზრდილია. სკოლის შენობის ასაგებად და თანამედროვე სტანდარტებით მოსაწყობად 5 440 000 ლარი გამოყო. არადა, ერთი წლის წინ, როცა შენობის მაკეტი გამოქვეყნდა, ითქვა, რომ სკოლის შენობას 3 500 000 ლარი მოხმარდებოდა. იმხანად ითქვა ისიც, რომ სამუშაოები 2018 წელს დაიწყებოდა და შენობა 2019 წლის ბოლოს ჩაბარდებოდა. თუმცა, ამჯერად თანხის ზრდასთან ერთად, ვადებმაც გადაიწია და შენობის დასრულება უკვე 2020 წლისთვის იგეგმება. ახლადგამოქვეყნებული სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლა 300 მოსწავლეზე გათვლილი უნდა იყოს, წინა შემთხვევაში კი 250 მოსწავლეზე. ძველი პროექტი ორსართულიანი შენობის აგებას ითვალისწინებდა, ამჯერად კი სამი სართული და სარდაფია გათვალისწინებული.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ამბობს, რომ ვადები არ გაჭიანურებულა და მანამდე სამშენებლო მოედნის მოსუფთავება მიმდინარეობდა.

„კარგი ინფორმაცია მაქვს მაჩხაანელებისთვის. სამინისტრომ უკვე გამოაცხადა ტენდერი და ამჟამად სამუშაოების მწარმოებელი კომპანიის გამოვლენა მიმდინარეობს. შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე რომ შევიდეთ, 5 440 000 ლარის ღირებულების პროექტია და 10 სექტემბერს იწურება განაცხადების მიღების ვადა. დიდი იმედი მაქვს, სექტემბრის შუა რიცხვებში უკვე გვეყოლება გამარჯვებული კომპანია, რომელიც სამუშაოებს მიმდინარე წელსვე დაიწყებს. კომპანიას ორწლიანი ვადა აქვს, მშენებლობა ორ წელში, 2019-20 წლებში უნდა დასრულდეს. რაც შეეხება თქვენს მიერ დასმულ შეკითხვას, ვადების გაჭიანურების თაობაზე, მინდა გითხრათ, რომ ეს მთლიანად განათლების სამინისტროს პრეროგატივა იყო, მაგრამ შენობის ასაშენებლად ტენდერი აქამდე არ გამოცხადებულა, რომ მაგალითად ის ჩაშლილიყო და ამიტომ გადაეწია წინასწარ დაანონსებულ თარიღს. ვიცით, რომ შენობის აშენებამდე საჭირო იყო ძველი შენობის დაშლა და ნარჩენების ტერიტორიიდან გაზიდვა. შარშან სამინისტრომ ახალი შენობის ასაშენებლად მოედნის დასუფთავებისა და დამწვარი შენობის დემონტაჟის სამუშაოების ჩასატარებლად გამოაცხადა ტენდერი. ეზოში რომ მიხვიდეთ, ნახავთ, რომ ძველი შენობა სრულად დანგრეულია, ტერიტორია გაწმენდილია და მზადაა სამუშაოების დასაწყებად" – აღნიშნავს ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

სასწავლო პროცესის სირთულეზე საუბრობს სკოლის მოქმედი დირექტორი **მაია ხუნაშვილი.** მისი თქმით, სივიწროვისა და ფართის სიმცირის გარდა მოსწავლეებს ტექნიკური ბაზის არარსებობაც პრობლემას უქმნის, რის გამოც ხანძრის შემდეგ სკოლა ორცვლიან სწავლებაზე გადავიდა.



მაია ხუნაშვილი ***(ზემო მაჩხაანის სკოლის დირექტორი):*** „არცერთი დღე, სკოლის და შენობის არარსებობის გამო არ შევფერხეულვართ და სასწავლო პროცესი არ ჩაშლილა. კვირას დილით დამწვარი დაგვხვდა შენობა, ორშაბათს დავლაგდით, მოვწესრიგდით და სამშაბათს უკვე ზარი დაირეკა და სწავლა დავიწყეთ. ძალიან დიდი ზარალი გვქონდა. კოლექტივიც გვერდში დაგვიდგა და ბავშვებიც გაგებით ეკიდებიან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა განადგურდა, განადგურებულია კომპიუტერული ტექნიკა დოკუმენტაცია, ამდენი წლის არქივი. სოფელი დიდ დანაკლისად მიიჩნევს იმას, რომ საბუთები არქივში არ იყო წაღებული და სკოლაში დაიწვა. გვიჭირს ამ ყველაფრის აღდგენა. სამი წლის განმავლობაში სკოლას ყველანაირად უჭირდა. არ ვიცი როგორ ვთქვა და როგორ გადმოვცე. ბავშვებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, კაბინეტებით ისარგებლონ, არ აქვთ კომპიუტერებზე წვდომის საშუალება. სკოლას რაც შეეძლო ბიბლიოთეკის ფონდის აღდგენა მოვახერხეთ, ქველმოქმედების დახმარებაც მივიღეთ. ფართიც ძალიან მცირეა. წარმოუდგენელ სივიწროვეში ვმუშაობთ. ერთ პატარა ოთახშია დირექტორის კაბინეტი, სასწავლო ნაწილი, ბუღალტერი, მენეჯერი და საქმის მწარმოებელი. ამას კაბინეტიც არ ჰქვია, სამუშაო მაგიდა და კუთხეები გვაქვს დათმობილი, სულ ესაა... დამწვარი შენობის გვერდით გვქონდა დაწყებითების კორპუსი და ძირითადად ეს შენობა დაგვეხმარა, კლასებიის უმრავლესობა იქ განთავსდა. 9 ოთახი გადარჩა და მეშვიდე კლასის ზემოთ ეს შენობა დავტვირთეთ, ხოლო მეექვსე კლასის ქვემოთ კულტურის სახლის შენობაში სწავლობენ. ეს ფართი დედოფლისწყაროს მერიამ გადმოგვცა და თავადვე გაგვირემონტა, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ნიკოლოზ ჯანიაშვილს. იქ ძალიან პატარა საკლასო ოთახებია, ბავშვთა რაოდენობა კი ძალიან დიდია. ამიტომ, გაჭირვებით ვახერხებთ კლასებში დატევას. ამის გამო ორცვლიანი სწავლა გვაქვს, სასწავლო პროცესი 5 საათამდე გრძელდება. გვემსახურება ტრანსპორტიც, გადასაყვანად, სოფელ მირზაანში რადგან 4 კილომეტრითაა დაშორებული. სასკოლო ცხრილიც ძალიან რთული აგებულებისაა, რადგან ასეთ პირობებში გვიწევს მუშაობა. ზემო მაჩხაანი მზარდი სოფელია, ყოველწლიურად იზრდება მოსწავლეთა რიცხვი და ამჟამადაც ფართის პრობლემა გვიდგა. მაგალითად, შარშანწინ პირველ კლასში 15 ბავშვი მივიღეთ, გასულ წელს 18 მოსწავლე შემოვიდა, წელს კი 22 მოსწავლე გვყავს დარეგისტრირებული, ეს მაჩვენებელი კი არათუ სოფლის, რაიონულ სკოლებისთვისაც საოცნებოა".

პროექტის ცვლილებას ადასტურებს დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი. ეთერ ზურიკაშვილი ამბობს, რომ თუ ძველ პროექტზე 3,5 მილიონი ლარი იყო გათვალისწინებული, ამჯერად თანხა ორი მილიონით გაიზარდა. ზურიკაშვილის განმარტებით, პროექტი შეიცვალა, რადგან სოფელი მზარდია, ამიტომ, სოფელ ზემო მაჩხაანში ორსართულიანის ნაცვლად, სამსართულიანი შენობა აშენდება. ძველი პროექტი 250 მოსწავლეზე იყო გათვლილი, სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით ახალი სკოლა ასეთი იქნება და 300 მოსწავლეს დაიტევს.

ეთერ ზურიკაშვილი ***(დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი):*** „ზემო მაჩხაანი ისედაც დიდი და მზარდი სოფელია და სამომავლოდ კვლავ ფართის უკმარისობის პრობლემა რომ არ დადგეს, მე ვფიქრობ, პროექტი ამის გამო შეიცვალა. იმედი მაქვს, ტენდერში გამარჯვებული კომპანია წარმატებით გამოვლინდება,მაჩხაანის სკოლის მშენებლობა დროულად დაიწყება და შეფერხება არ გვექნება. წინასწარ გათვალისწინებული თანხის ზრდაც ამ გარემოებამ გამოიწვია, რომ გარკვეული დეტალები შეიცვალა. ფაქტია, რომ პროექტი უფრო დაიხვეწა და გაუმჯობესდა. წინა პროექტთან შედარებით თანხა 2 მილიონით გაიზარდა და სართულიც დაემატა. თუ შარშან ითქვა, რომ ორსართულიან შენობას ააშენებდნენ, ახლა სამი სართულია დაპროექტებული. სამინისტრომ გაითვალისწინა, რომ სოფელი მზარდია და თავისთავად ცხადია, ფართობი უნდა გაზრდილიყო".

ილია მარტყოფლიშვილი

# რთველი ძალაში შევიდა

ორი კვირაა რთველი დაიწყო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში. როგორც წინა ნომერში ვთქვით, წელს პირველად, ბოლო წლების შემდეგ, რთველი სუბსიდირების გარეშე ჩაივლის. ამის მიუხედავად მოსახლეობა მაინც კმაყოფილია. საშუალოდ თეთრი ყურძენი 70-80 თეთრი ღირს, საფერავი კი – 2 ლარი.



დღევანდელი მონაცემებით, კახეთში 42 ათასამდე ტონა ყურძენია გადამუშავებული, აქედან 27 ათასამდე ტონა საფერავი, 9 ათასამდე ტონა რქაწითელი, 900 ტონამდე კახური მწვანე, დანარჩენი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია. შედარებისთვის, 2017 წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემებით, გადამუშავებული იყო 22,5 ათასი ტონა ყურძენი.



რთველის დაწყებიდან დღემდე ყურძენი ღვინის საწარმოებს 4200-მა მევენახემ ჩააბარა, რომელთა შემოსავალმა 70 მლნ ლარს გადააჭარბა.

ყველაზე დიდი რაოდენობით ყურძენი გადამუშავდა გურჯაანის მუნიციპალიტეტში - 11,5 ათასი ტონა, შემდეგ მოდის ყვარელი- 11 ათასი ტონა, თელავი - 8 ათასი ტონა, სიღნაღი - 4,7 ათასი ტონა, დედოფლისწყარო - 3,2 ათასი ტ., ახმეტა - 2 ათასი და ლაგოდეხი 800 ტონამდე.

დღეღამურად, საშუალოდ 5 ათასამდე ტონა ყურძენი მუშავდება საწარმოების მიერ, რაც იმას ნიშნავს, რომ კახეთში რთველი აქტიურ ფაზაშია.

რთველი 2018-ის საკოორდინაციო შტაბში ამ დროისთვის 180-მდე კომპანიაა დარეგისტრირებული. ყურძენი უკვე გადაამუშავა 102-მა ღვინის კომპანიამ.

აქტიურად მიმდინარეობს ყურძნის ჩაბარება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის შპს „თაგლ-111"-ში, რომელიც ქალაქის შემოსასვლელში, ყოფილი ელევატორის მოპირდაპირედ მდებარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ყურძნის დაწურვა შეუფერხებლად მიმდინარეობს, რიგში ჩამწკრივებულ თვითმცლელებს, მისაბმელებს თუ მიკროავტობუსებს თვალს ვერ გაუწვდენ. აქ მოდიან არა მხოლოდ ჩვენი სოფლებიდან, არამედ მეზობელი მუნიციპალიტეტიდანაც, რადგან ქარხანა ოპერატიულად და მოწესრიგებულად აწარმოებს სამუშაოებს. როგორც ქარხნის დირექტორმა **ზაქარია ბოსტოღანაშვილმა** განაცხადა, ქარხანამ უკვე მიიღო და გადაამუშავა 400 ტონა ყურძენი. პარალელურად მიმდინარეობს ბადაგის გაყიდვა, რაც იძლევა საშუალებას, ქარხანამ ნებისმიერი რაოდენობის ყურძენი ჩაიბაროს და გადაამუშაოს. ჩამბარებლები ჩაბარებისთანავე ღებულობენ ჩეკს, რომლის განაღდებაც მათ 10 დღის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, შეუძლიათ საქართველოს ბანკში.

ჩვენ გავესაუბრეთ მევენახეებს რომლებიც კმაყოფილები არიან წლევანდელი მოსავლითაც და ქარხნის მომსახურებითაც.



ნაირა გორაშვილი

# ტატამის და სცენის ოსტატი



გივი ლაზვიაშვილი და ნიკოლოზ ბენიაიძე

„მსახიობებში ყველაზე მაგარი სპორტსმენი და სპორტსმენებში ყველაზე მაგარი მსახიობი" – ასე აშარჟებს თავის განვლილ ცხოვრებას გივი ლაზვიაშვილი,რომლისთვისაც იუმორი ისეთივე ჩვეულებრივი, ბუნებრივი მდგომარეობაა, როგორც სუნთქვა. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ გივი საუკეთესოა, როგორც სპორტსმენი და როგორც მსახიობი.

ის 1948 წლის 21 ივნისს დაიბადა სოფელ ზემო ქედში. უჭირდა ნაომარ ქვეყანას, უჭირდა გივის ოჯახსაც. ამიტომ არც მისი ბავშვობა იყო ლაღი და უდარდელი,მიუხედავად იმისა, რომ დედისერთა გახლდათ. როცა წამოიზარდა, არ ერიდებოდა ფიზიკურ შრომას, ცდილობდა, საკუთარი შემოსავალი ჰქონოდა. საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, ორი ჰობი ჰქონდა - სპორტი და სცენა, მაგრამ სერიოზულ წვრთნას და მოღვაწეობას ვერ ახერხებდა. მერე სავალდებულო სამხედრო სამსახური გაიარა თითქმის 3 წლის განმავლობაში (ასეთი ვადა იყო იმ პერიოდისათვის). ჯარიდან დაბრუნებულმა ფიზკულტურის ტექნიკუმში გააგრძელა სწავლა ჭიდაობის განხრით, რომელიც 1972 წელს დაამთავრა და დაბრუნდა მშობლიურ სოფელში. მას, როგორც დიდი ტალანტის მქონე მოჭიდავეს, არ ჰქონდა საშუალება, დიდი დატვირთვით ემუშავა და თავი გამოეჩინა ხალიჩაზე თუ მოედანზე, მიეღწია სხვადასხვა წოდებისთვის, მოეპოვებინა ჯილდოები და ტიტულები. ამიტომ, ეს დანაკლისი სამწრთვნელო სამუშაოთი შეავსო და მთელი ენთუზიაზმით მოეკიდა მოსწავლე- ახალგაზრდობის ვარჯიშს ძიუდოში. თუმცა, სხვა სტილის ჭიდაობებშიც კარგად ერკვეოდა და ბავშვებს მრავალმხრივ განვითარების საშუალებას აძლევდა. პირველი ნაბიჯი შირაქის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობაში გადადგა, სადაც ფიზკულტურისა და სპორტის მეთოდისტ-ინსტრუქტორად დაინიშნა. მან აქ თავი გამოიჩინა როგორც ალღოიანმა, ენერგიულმა, თავის საქმეზე შეყვარებულმა და დიდმა ენთუზიასტმა. თანდათან გააფართოვა მოქმედების არეალი და ქედების ზონის თითქმის ყველა სოფელში შეკრა გუნდები და სისტემატური ვარჯიში დაიწყო. თავისი შრომისმოყვარეობით და მაღალი პასუხისმგებლობით ყველას თავი შეაყვარა. ყოველდღიურად იზრდებოდა სპორტულ სექციაში გაწევრიანების მსურველთა რიცხვი. მალე ჩააყენა სპორტულ ფორმაში ბავშვები. ჯერ ბედი რაიონულ შეჯიბრებაში სცადეს. როდესაც არხილოსკალოს კოლმეურნეობის მაშინდელმა ხელმძღვანელმა, ცნობილმა მეურნემ და სოფლის ქომაგმა მიხეილ კობაიძემ გაზეთ „ახალ შირაქში" თავისი სოფლის ბავშვების წარმატებების შესახებ წაიკითხა, ძალიან გაიხარა და გივი ლაზვიაშვილი კაბინეტში დაიბარა.

- როცა მითხრეს, მიშა ძია (ასე ეძახდნენ თავმჯდომარეს სოფელში) გეძახისო, გულმა ბაგა-ბუგი დამიწყო, რას მეტყვისმეთქი. კაბინეტში შესვლისთანავე წამოდგა, ხელი ჩამომართვა, გადამეხვია, მადლობა გადამიხადა, ძალიან გამახარეთ, მე ამაყი ვარო და ასე გააგრძელეთ, მე თქვენგან მეტსაც მოველიო, მითხრა,- იხსენებს ბატონი გივი. ამას ის მოჰყვა, რომ გივისთან შეუთანხმებლად და მულოდნელად „მიშა ძიამ" მადლიერების ნიშნად, მას მთელი მანქანა „პრესი" გაუგზავნა სახლში საქონლისთვის.

შემდეგ ბატონმა მიშამ სთხოვა გივის, ჩასულიყო არხილოსკალოში და სათავეში ჩასდგომოდა ჩოხოსან მოჭიდავეებს. თვითონ კი ყველა პირობას შეუქმნიდა, რაც გუნდს დასჭირდებოდა წარმატების მისაღწევად. 1988 წლის თებერვლიდან გივი მართლაც ჩაუდგა სათავეში არხილოსაკალოში გუნდს და თავდაუზოგავმა მუშაობამ მალე არნახული შედეგები გამოიღო, არა მხოლოდ სოფლისათვის, არამედ რაიონისათვის. გივი ლაზვიაშვილის მუშაობის პერიოდში ჯერ რაიონის პირველობაზე, შემდეგ რეგიონალურ და რესპუბლიკურ ჩემპიონატებზე მოპოვებულმა წარმატებებმა რაიონს შესძინა მრავალი ჩემპიონი და პრიზიორი.

—ბატონი გივი პატარა ბიჭი არ იყო, ჩვენთან რომ მოვიდა. სადღაც, ორმოცი წლის დალვინებული მამაკაცი იყო კარგად იცოდა, რა უნდოდა და როგორ უნდა მიეღწია სასურველი შედეგისათვის. მოტოციკლი იყიდა და იმით დადიოდა. ერთი დღე არ გაუცდენია და არ დაუგვიანია. ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრობდა, სიგარეტს არ ეწეოდა და ბავშვებისგანაც ითხოვდა ანალოგიურ ქმედებას, მკაცრად აკონტროლებდა, საწამლავია, სპორტსმენის ორგანიზმს ანგრევს და წარმატებაზე არც იოცნებოს იმან, ვინც ამ წესს ულალატებსო. იმ მიზეზით, რომ სწავლაში ხელი შეგეშლებაო, მშობლები სექციაში გაწევრიანების ნებას არ მაძლევდნენ. უჩუმრა დავიწყე სიარული. ხანდახან, გუნდთან ერთად თუ ვერ ვახერხებდი მისვლას, ცალკე მამეცადინებდა. როცა პირველად რაიონის პირველობაზე ვიჭიდავე და ჩემპიონი გავხდი ჩემს წონაში, მშობლებმა მაშინ გაიგეს, რომ ვვარჯიშობდი, მაგრამ მე უკვე „მოწამლული" ვყავდი გივი მასწავლებელს და ვერავინ და ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ შემაჩერებდა. მშობლებსაც წინააღმდეგობა აღარ უცდიათ, რადგან იმის სურვილი, რომ მეჭიდავნა, სწავლის უფრო მეტ მოტივაციას მიჩენდა და კარგადაც ვსწავლობდი, ამით სათქმელს არ ვუტოვებდი მშობლებს. ეს ის პერიოდი იყო, როცა ცხოვრება ძალიან გაჭირდა. უჭირდა ყველა ოჯახს, ხანდახან ავტობუსის ფული არ გვქონდა, შეჯიბრზე რომ წავსულიყავით, ბატონ გივისთან ერთად ვეხვეწებოდით მძღოლს, რომ წავეყვანეთ. ის ყველა ღონეს ხმარობდა, რომ არ გაგვეცდინა არცერთი შეჯიბრი, რადგან, თუ შედეგს არ სდებ კონკურენციის დროს, ვერც გაიზრდები. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ჩვენს ზონაში სპორტის განვითარების თვალსაზრისით. მან დაარსა და ჩაატარა უამრავი ტურნირი. ბიჭიკო ბუჩუკურის სახელობის პირველი ტურნირით მან ჩვენი სოფელი სრულიად საქართველოს გააცნო, მისი ინიციატივით ტარდებოდა ვანო ჩოხელის ტურნირი ზემო ქედში და სხვა. ის შეყვარებულია თავის საქმეზე და შედეგებიც მაღალი აქვს,- ამბობს ნიკოლოზ ბენიაიძე, წარმატებული ფერმერი და სოფლის ერთ-ერთი მოამაგე, რომელმაც საკუთარ სპორტულ წარმატებებზე არ ისაუბრა, მაგრამ როგორ დაიმალება, რომ ის მრავალგზის იყო რაიონის ჩემპიონი, სამგზის საქართველოს ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე რამდენჯერმე.




გივი ლაზვიაშვილის მიღწევები ცალკე აღებული არ შედგებოდა, თუ ის ჩვენი რაიონის სპორტული ცხოვრების აქტიური შემადგენელი ნაწილი არ იქნებოდა. სწორედ რომ, მისი შრომა არ გამორჩენია რაიონის სპორტული სკოლის დირექციას და იგი, შედეგებიდან გამომდინარე, სათანადო სამწრთვნელო განათლების დოკუმენტის გარეშე, მწვრთნელ-მასწავლებლად დაინიშნა. ჩვენ გვესაუბრება სპორტის დიდი ქომაგი ელგუჯა თეთვაძე, რომელიც ათეული წლები ედგა სათავეში რაიონის სპორსკოლას და თავისი წვლილი შეჰქონდა იმ წარმატებებში, რასაც ჩვენი რაიონი აღწევდა.

- გივი ლაზვიაშვილს ათეული წლებია, ვიცნობ და შემიძლია ვთქვა, რომ ერთი კაცისთვის, ერთი თავმდაბალი მწრთვნელისთვის დიდი შედეგებია ის, რასაც მან მიაღწია. მან ძალიან ბევრი ბავშვი გადაარჩინა და ცხოვრების სწორსა და ჯანსაღ გზაზე დააყენა, ბევრმა მათგანმა იზეიმა და განიცადა ის სიხარული, რასაც სპორტულ კვარცხლბეკზე შედგომა იწვევს. მისი გამოზრდილები არიან: შოთა შარუმაიძე- ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების მონაწილე, ნიკუშა ბენიაიძე-საქართელოს სამგზის ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე, ზვიად წოწკოლაური-ევროპის პრიზიორი სამბოში, მიშა ნარიმანიძე-ევროპის ჩემპიონი სამბოში, ზაზა კედელაშვილი–სამგზის ევროპის ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონატების და ოლიმპიური თამაშების მონაწილე და პრიზიორი. სწორედ სპორტულმა კარიერამ გაუხსნა გზა ზაზა კედელაშვილს, როცა საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა, რაშიც ძალიან დიდია გივის როლი. ცალკე შეიძლება გამოვყოთ შოთა შარუმაიძე, რომელმაც მასწავლებლის გზა აირჩია და დღეს ერთ-ერთი წარმატებული მწრთვნელია. გივისთან ერთად, მისი კონსულტაციებითა და რჩევებით მიაღწია მისმა მოწაფემ ლაშა ბექაურმა დიდ წარმატებებს, როცა ჯერ ევროპის ჩემპიონატი მოიგო, მერე-მსოფლიო ჩემპიონატი და დიდ საერთაშორისო ტურნირზე ჩემპიონი გახდა. მან ექვსი შეხვედრა ჩაატარა და ექვსივე იპონით მოიგო, რაც იშვიათი შედეგია. ბექას წარმატებებით გაიხარა საქართველომ, ჩვენმა რაიონმა და ორივე მწვრთნელმა, გივი ლაზიაშვილმა და კახა წიკლაურმა, რომლებიც იმ დღეებში სიხარულის ცრემლს ვერ იკავებდნენ. მჯერა, ლაშა ახლო წლებში ოლიმპიურ ოქროს მედალს „ძღვნად" მიართმევს კახას და გივის, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ სულ ცოტა ხნის წინ 70 წელი შეუსრულდა, კვლავ მხნედაა და ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებს. ის ახალგაზრდების კიდევ ბევრ წარმატებაში შეიტანს თავის წვლილს. აქვე, აუცილებლად მინდა ვთქვა, რომ გივი არამარტო კარგი მწვრთნელია, არამედ საუკეთესო თვისებების ადამიანი, ჰუმანური, კაცთმოყვარე, პასუხისმგებლიანი და საიმედო მეგობარი. ვულოცავ მას იუბილეს და ვისურვებ, კიდევ დიდხანს იყოს ჩვენს გვერდზე – ამბობს ბატონი ელგუჯა.

ცალკე საუბრის თემაა გივი ლაზიაშვილი, როგორც ხელოვანი და სცენის მოღვაწე. მის გარეშე წარმოუდგენელია ზემო ქედის კულტურული ცხოვრება – ოთხი ათეული წლის მანძილზე ის იყო ზემო ქედის კულტურის სახლის ქართულ-ხალხურ საკრავთა სახალხო ორკესტრის წევრი. აქტიურად მონაწილეობდა დრამატული კოლექტივის სპექტაკლებში, არის მსოფლიო ფესტივალების და ოლიმპიადების ლაურეატი ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიაში და ბულგარეთში. მის გამოსვლებს აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი და ხანგრძლივი ოვაციებით აჯილდოვებდა. აი რას ამბობს ქალბატონი ნელი გობეჯიშვილი, რომელიც იმ პერიოდისთვის მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა კულტურის განყოფილებას რაიონში:

– გივი ლაზვიაშვილი არის კაცი, რომელმაც ყველა ოცნება აისრულა კულტურისა და სპორტის განხრით და დიდ წარმატებებს მიაღწია, თავადაც იცხოვრა ჯანსაღი ცხოვრების წესით და მოზარდ თაობასაც შთააგონა, რომ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული დგას. სადაც კი ნიჭიერ ბავშვს ნახავდა სპორტული თუ სამსახიობო კუთხით, ხელს მოჰკიდებდა და ან სპორტდარბაზში მიჰყავდა, ან კულტურის სახლში. იყო კარგი მომღერალი, მოცეკვავე და წამყვანი სოლისტი, შესანიშნავი სახასიათო მსახიობი. ამასთან, კარგი ადამიანი, ერთგული და საიმედო მეგობარი. მქონდა ბედნიერება, ამასწინათ, მისთვის 70 წლისთავი პირადად მიმელოცა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის სახელით გადამეცა „საპატიო სიგელი", რომელიც მან ნამდვილად დაიმსახურა.

დიახ, გივი ლაზვიაშვილის ღვაწლის აღსანიშნავად, 70 წლისთავთან დაკავშრებით, ზემო ქედში დიდი ღონისძიება გაიმართა. სპორტსმენები და კულტურის დარგის მუშაკები მოეფერნენ და იუბილე მიულოცეს კაცს, რომელსაც, მართლაც რომ, ვერ იყოფენ, რადგან ის ორივე სფეროს გულწრფელად და დიდი სიყვარულით ემსახურა.

ბატონო გივი, გაზეთ „შირაქის" რედაქციის სახელით გილოცავთ 70 წლის იუბილეს, კვლავაც ჯანმრთელობას, მხნეობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ თქვენს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. იყავით ბედნიერი!

ნაირა გორაშვილი

# შიდა გზების რეაბილიტაცია სოფლებში



***სოფელ არბოშიკში შიდა გზების მოასფალტების სამუშაოები მიმდინარეობს. პროცესი ზემო მაჩხაანში, ხორნაბუჯსა და სამრეკლოშიც დაიწყო. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ამბობს, რომ ქალაქ დედოფლისწყაროში ყველა შიდა გზა მოწესრიგებულია, ამდენად, გადაწყვიტეს, სოფლებში გადაინაცვლონ და არსებული ფინანსები უკვე სოფლების შიდა საუბნო გზების მოასფალტებას მოხმარდეს. რამდენიმე კვირის წინ ასეთი სამუშაოები თავდაპირველად სოფელ არბოშიკში დაიწყო. ცნობილია, რომ ეს სოფელი რთული რელიეფით ხასიათდება, ამიტომ გზების დაგეგმარება განსაკუთრებულ მუშაობას და გამორჩეულ ხარისხს მოითხოვს. მერიაში ამბობენ, რომ ხარისხი გარანტირებულია.***

„ეს პროექტი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ 4 გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს და წლის ბოლომდე კიდევ ორი გზა დაემატება. არბოშიკში უკვე დასრულდა სამუშაოები. ახლა საგზაო სამუშაოები სოფელ ზემო მაჩხაანში მიმდინარეობს, ასევე სოფლებში ხორნაბუჯსა და სამრეკლოში. მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ქალაქში ყველა გზის განახლება დავასრულეთ, აღარ დაგვრჩა მოუწესრიგებელი ქუჩა და ახლა ვეცდებით, სოფლებსაც მივხედოთ. ჩვენი სოფლების გაძლიერებისა და განვითარებისთვის გზების რეაბილიტაცია ძალიან მნიშვნელოვანია. ვხედავთ, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები ასეთი ტემპით და საკმაოდ ხარისხიანად მიმდინარეობს. მიხარია, რომ დამკვეთიც და შემსრულებელიც ოპერატიულად მუშაობს და საქმე კეთდება,“ – აღნიშნავს ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

არბოშიკელები იმასაც იხსენებენ, რომ 30 წელზე მეტია, აქ გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები აღარ ჩატარებულა.

„ამჟამად ორ უბანში მიმდინარეობს სამუშაოები, კიდევ 4-5 უბანზეა დაგეგმილი გზის რეაბილიტაცია. ზედაპირული მოხრეშვა და დაგრეიდერება მოხდება. ხოლო, ეს გზა, რომელსაც სასაფლაოს გზა ჰქვია, ყველაზე მეტად აუცილებელი იყო. აქ 800 მეტრის სიგრძეზე მოხდა ორპირი ასფალტის დაგება, საკმაოდ სქელი და ხარისხიანი გზა დაიგო. ეს გზა მთელს სოფელს ჭირდება. სასაფლაოსთან და მეორე მსოფლიო ომის გმირთა მემორიალთან მისასვლელი გზაა, ასევე ვენახებსა და საკარმიდამო ნაკვეთებთანაც ამ გზით მიდიან, ასე რომ ამ მონაკვეთს ყველაზე მეტი მოქალაქე მოიხმარს. ხალხი ძალიან კმაყოფილია, რადგან ყველაფერი კარგად გაკეთდა. მომავალ წელს ვგეგმავთ მეორე, ცენტრალური ქუჩის მოსფალტებას, მისი სიგრძეც დაახლოებით 1 კილომეტრს შეადგენს. იმედი გვაქვს, ეს პროექტიც წარმატებით დაგვირგვინდება. შიდა გზები მოიხრეშება, ხოლო მთავარი ქუჩები მოასფალტდება. სიმართლე გითხრათ, 30-40 წელია, ამ სოფელში გზების მოასფალტება არ მომხდარა, მომავალში კიდევ ბევრი გეგმა გვაქვს,“ – აღნიშნავს მერის წარმომადგენელი სოფელ არბოშიკში მურად ელაშვილი.

ადგილობრივები ქუჩაში გამოშლილ ტექნიკას ინტერესით ადევნებდნენ თვალს და კმაყოფილებას გამოხატავდნენ. გაზეთი „შირაქი“ რამდენიმე მათგანს გაესაუბრა და მათი შეფასება მოისმინა.

„აბა, შეხედეთ ამ გზას, ამხელა აღმართია, ქვა-ღორღიანი გზა იყო, სასაფლაოსთან მისასვლელი გზა ასეთი რომ იქნება, როგორ გინდა სასაფლაომდე ახვიდე და მიცვალებული დაკრძალო? ხან წვიმაა, ხან თოვლია და ძალიან გვიჭირდა ამ გზაზე სიარული. ძალიან ვწვალობდით, საკმაოდ გვიძნელდებოდა აქ სიარული. დღეს ისე გაჭირდა ცხოვრება, ყველას ხომ არ აქვს ტრანსპორტის საშუალება, ვისაც აქვს, საწვავის ყიდვას ისინიც ვერ ახერხებენ და სერიოზული პრობლემა იყო. ისეთი დროება დაგვიდგა, ლხინი იშვიათობა გახდა, ძირითადად ჭირის სუფრები იშლება და გახშირებული სიკვდილიანობაა. ამიტომაც, აუცილებელი იყო ეს გზა გაეკეთებინათ. რამდენი წელია, ამ გზის შეკეთებაზე ვოცნებობთ, ასფალტი წარმოუდგენელი იყო, მოხრეშვაც კი სანატრელი გვქონდა. ახლა ყველაზე სასიკეთო საქმე გაკეთდა. აღმართს ვერავინ გაასწორებს, მაგრამ, რაც მთავარია და რაც შესაძლებელი იყო, ის გაკეთდა. მართლაც მაღალ დონეზე მოასფალტდა, მოასწორეს გზა და ამიერიდან სუფთად და ნორმალურად შევძლებთ სასაფლაოზე ასვლას. აღარც ტალახში ამოვისვრებით და არც წვიმა, თუ თოვლი შეგვაშინებს. საშვილიშვილო საქმეა, და ბრმა უნდა იყოს ადამიანი, ეს სიკეთე ვერ დაინახოს. ძალიან მადლობლები ვართ, რომ ჩვენი სოფელიც გაიხსენეს და რაღაცა გააკეთეს. ათეულობით წელია, არბოშიკში არაფერი გაკეთებულა. მივესალმებით ყველაფერს, რაც გლეხი ხალხის სასიკეთოდ გაკეთდება და რაც სოფელს წაადგება. მთავრობამ სოფლებს მეტი ყურადღება თუ არ მიაქცია, იცლება სოფლები, ახალგაზრდები აღარ რჩებიან და მხოლოდ მოხუცების იმედად სოფელი ვერ გაძლიერდება და ვერ განვითარდება. ფუფუნებას არ ვითხოვთ, ელემენტარული საარსებო პირობები უნდა შეიქმნას, რომ ხალხმა აქედან გაქცევაზე არ იფიქროს. არბოშიკი ადრე თუ მრავალრიცხოვანი და ძლიერი სოფელი იყო, ეს ახლაც შესაძლებელია. ერთად დგომით და ხელისუფლების დახმარებით მეტი უნდა შევძლოთ,“ – აცხადებენ არბოშიკელები.

ილია მარტყოფლიშვილი

# ტრენინგი სკოლებში

***რეგიონებში საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციებს „საქმისწარმოებისა და ელექტრონული მმართველობის“ თემაზე ტრენინგები ჩაუტარდათ. 9 სექტემბერს სასწავლო კურსი კახეთში დასრულდა. ტრენინგის მონაწილეებს სერთიფიკატები დედოფლისწყაროში გადასცეს. სასწავლო კურსის მიზანია, სკოლის დირექტორებისა და საქმის მწარმოებლებისთვის დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში ეფექტურად მუშაობისთვის ცოდნის გაღრმავება. ცნობილია, რომ სკოლები ელექტრონული ჟურნალების წარმოებაზე ეტაპობრივად გადადიან.***

სასწავლო კურსს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული უწყება უძღვებოდა. ჟვანიას სკოლა სხვადასხვა დონეზე სწორედ სამინისტროს ქოლგის ქვეშ მოქმედ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პერსონალის გადამზადებაზე მუშაობს.

„ტრენინგებს ატარებს ჟვანიას სკოლა, რომელიც განათლების სამინისტროს უწყებაა. რეგიონებში ჩავდივართ იმისათვის, რომ სკოლების ადმინისტრაციებს დავეხმაროთ ელექტრონული საქმისწარმოების თემაზე არსებული ხარვეზები აღმოფხვრან და ყველა ნიუანსში გაერკვნენ. დედოფლისწყაროში სასწავლო კურსი ოთხი დღის განმავლობაში ტარდებოდა, პროცესი საკმაოდ ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა. ძალიან აქტიურობდნენ და მათთვის საინტერესო ყველა კითხვაზე და ყველა წვრილმანზე კომპეტენტური განმარტება მიიღეს. არაჩვეულებრივად აქტიური ჯგუფი იყო, ყველა განმარტება გასაგები და საინტერესო აღმოჩნდა მათთვის და აღნიშნავდნენ, რომ მანამდე ხარვეზები ყველა მათგანს ჰქონდა. სიახლეების შესახებ მივაწოდეთ ინფორმაცია, რათა თავიაანთ სკოლებში სწორად დანერგონ საქმისწარმოების ის მეთოდები, რომელსაც თანამედროვე სისტემა მოიცავს. ელექტრონული მმართველობის სწორად წარმართვისთვის დაიგეგმა ამგვარი ტრენინგების ჩატარება. სხვა რეგიონებში უკვე დასრულდა ეს პროცესი, ამჯერად დედოფლისწყაროში ვიმყოფებით და აქ დავასრულებთ,“ – განუცხადა „შირაქს“ ტრენერმა ნატა მურუსიძემ.

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ეთერ ზურიკაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ დედოფლისწყაროს ყველა სკოლა დაინტერესდა, რათა ამ საკითხში ცოდნა კიდევ უფრო გაეღრმავებინა.

„ტრენინგი დროული და აუცილებელი იყო, საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა ჩვენთვის, რადგან სკოლების გამართული საქმისწარმოება უკვე ელექტრონულ სისტემაზეა დამოკიდებული, რაც ახლადდანერგილი სიახლეა და გვქონდა შეკითხვები. გამოხმაურება დიდი იყო, ყველა სკოლა დაინტერესდა, რადგან ეს სიახლეა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მოქმედი 15 სკოლიდან 5-მა დირექტორმა უშუალოდ ისურვა თავად ჩართულიყო ამ სწავლებაში, დანარჩენებმა საქმის მწარმოებლები გამოგზავნეს ტრენინგზე,“ – აღნიშნავს ეთერ ზურიკაშვილი.

სასწავლო კურსის დასრულებას და სერთიფიკატების გადაცემის ცერემონიას გაზეთი „შირაქიც“ დაესწრო. ჩვენთან საუბრისას ტრენინგის მონაწილეებიც კმაყოფილებას გამოხატავდნენ და აღნიშნავდნენ, რომ დღეიდან ადმინისტრაციული საქმეები და ელექტრონული დოკუმენტბრუნვა ბევრად გაუმარტივდებათ, რადგან აქ მიღებული ცოდნა პრაქტიკულ მუშაობაში მნიშვნელოვნად წაადგებათ.

„გულწრფელად რომ გითხრათ, ამ ტრენინგმა ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა, რადგან ყველა წვრილმან დეტალზე ტრენერებისგან ამომწურავი და კვალიფიციური ინფორმაცია მივიღეთ. აქამდე საქმის წარმოებაში რა ხარვეზებიც გვქონდა, რაშიც მანამდე შენიშვნებს ვიღებდით, რომ არასწორად ვაკეთებდით, ახლა უკვე სრულიად ნათელი და გასაგებია ჩვენთვის. სიახლეების სწორად დასანერგად აუცილებელია ამგვარი ტრენინგები ტარდებოდეს, სადაც ადმინისტრაცია გადამზადებას გაივლის“ – განუცხადა „შირაქს“ დედოფლისწყაროს №2 სკოლის დირექტორმა ლალი იაკობიშვილმა.



ილია მარტყოფლიშვილი

# სწორად აღირიცხება თუ არა დენის გადასახადი?

***გასულ კვირას დედოფლისწყაროელები სოციალურ ქსელში უჩვეულოდ აქტიურობდნენ. ბევრი მათგანი აღშფოთებას გამოხატავდა და ღიად აფიქსირებდა, რომ ელექტროენერგიაზე გადასახადი უჩვეულოდ მეტი მიუვიდა. თითოეულ მათგანს უამრავი გამოხმაურება ჰქონდა, სადაც პრობლემას სხვებიც ადასტურებდნენ და კონკრეტული მაგალითები მოჰყავდათ. ზოგიერთი იმასაც წერდა, რომ მთელი თვის განმავლობაში სახლში არ იყო, ელექტროენერგია არ მოუხმარია, გადასახადი კი იმაზე მეტი მიიღო, ვიდრე მოხმარებისას იღებდა. ისევე როგორც ადგილობრივების სხვა პრობლემებით, გაზეთი „შირაქი“ ტრადიციულად ამ საკითხითაც დაინტერესდა, მოქალაქეებს მოუსმინა და საკითხის გარკვევა სცადა.***



ლიკა ნატროშვილი: „გადასახადს უჩვეულოდ ბევრს წერენ და შემოწმების საშუალება კი არ გვაქვს. ჩემი მრიცხველი „დატუსაღებულია“. ჩვენს უბანში მრიცხველები ისეთ ყუთშია მოთავსებული, დამოუკიდებლად არ ჩანს ჩვენება, ფანჯრები არ აქვს. შესაბამისად, თუ არ გამოვიძახეთ კომპანიის წარმომადგენელი, ისე ვერ ვახერხებთ საკუთარი მრიცხველის ჩვენება დავინახოთ. ამ თვეში არ ვიყავით სახლში და 26 ლარის ელექტროენერგია როგორ გავხარჯეთ, ვერაფრით ვერ ვხვდები. წინა თვესაც 26 ლარი იყო ზუსტად. 5 ან 6 ლარის გადასახადი მქონდა ხოლმე გასულ წლებში. ტელევიზორსაც არ ვრთავდით ამ ბოლო დროს. გამარკვიეთ რა ხდება, მარტო მე ვარ ასეთ გაურკვევლობაში?“

მარინა ხიზანიშვილი: „ყოველთვიურად 25-28-30 ლარზე მეტი არასოდეს გადამიხდია, მრიცხველი სულ ამ მაჩვენებელს აფიქსირებდა და მიჩვეულები ვიყავით, ამჯერად 55 ლარიანი ქვითარი მივიღეთ, რაც მოულოდნელი იყო“.

თინათინ მურვანიძე: „კულტურის სახლის მიმდებარედ ვცხოვრობ, ორმაგად გაზრდილი გადასახადი მომდის. ზამთარში, როდესაც ელექტრო ღუმელს ვრთავდი, მაშინაც კი 6-7 ლარს ვიხდიდი, ახლა 12 ლარი მომივიდა, რამაც ძალიან გამაკვირვა.“

შალვა გოგოლაძე: „ესენი თაღლითობენ, წინა თვეებში 8-10-11 ლარზე მეტი არასოდეს დამიწერია, ახლა მომდის 20 ლარზე მეტი გადასახადი. ივლისი და აგვისტოს თვე იყო განსხვავებული.“

ლია შაიშმელაშვილი: „12 მაქსიმუმ 16 ლარს ვიხდიდი აქამდე, სულ ასეთი ქვითრები მომდიოდა, ბოლო სამი თვეა 26 ლარს ვიხდი“.

ნინო თეთრაული: „ანალოგიურ მდგომარეობაში ვარ, შარშან ავედი ოფისში და განცხადებაც კი დავწერე, მრიცხველის შემოწმების თაობაზე. მოვიდნენ და თურმე ბევრ რამეს ვრთავ და ამიტომ წერს მრიცხველი, ფაქტიურად ისევ ისე მოვიხმარ, როგორც წინა წლებში, მაგრამ გადასახადი უფრო და უფრო მეზრდება“.

ილია ლეკაშვილი: „მეც ორჯერ უფრო მეტი გადასახადი მომივიდა. გასარკვევად მივედი და ასე მითხრეს კილოვატების ზღვარს გადასცდი და ამიტომ მოგივიდა გაზრდილი გადასახადიო“.

აბონენტების პრეტენზიები „შირაქმა“ კომპანიას გააცნო. კახეთის რეგიონში სადისტრიბუციო კომპანია „ენერგო-პროს“ პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ჟანა დიდებაშვილი ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ მოქალაქეები სხვაობას იმიტომ გრძნობენ, რომ სახელმწიფომ ელექტროენერგიაზე სუბსიდირება გააუქმა. ანუ, ელექტროენერგიაზე ფასი არ გაზრდილა, მაგრამ იმ რამდენიმე თეთრის გადახდა, რომელსაც ყოველ კილოვატზე სახელმწიფო ფარავდა, ამჯერად აბონენტს უწევს.

„შესაძლოა, ხარჯვა არ გაზრდილა და მოქალაქეები ისევ იმ დოზით მოიხმარენ ელექტროენერგიას, მაგრამ შეგახსენებთ, რომ ბოლო ხანს სახელმწიფო სუბსიდია გაუქმდა და რამდენიმე თეთრი ყოველ კილოვატზე აქედან ემატება, ეს კი ცხადია ჯამურ მაჩვენებელზე აისახება და მეტის გადახდა უწევთ. იმ აბონენტებს, რომელთაც შენიშვნები აქვთ ამ საკითხზე, შეუძლიათ განცხადება შეიტანონ დედოფლისწყაროს სერვისცენტრში. მათ შეუძლიათ ადგილზე კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად გახსნან მრიცხველი, შეამოწმონ ყველა ჩვენება და კონკრეტულად შეადარონ ერთმანეთს ქვითრებზე დატანილი მონაცემები. აბონენტებმა, რომლებიც არ ეთანხმებიან, ან რაიმე პრეტენზია აქვთ გადასახადის ოდენობაზე და აღრიცხვის სამართლიანობაზე, შეუძლიათ ადგილობრივ ფილიალში გაარკვიონ,“ – აღნიშნავს ჟანა დიდებაშვილი.

ბოლო წლებში ენერგომომარაგების კუთხით კახეთის რეგიონში რთული ვითარება იყო. სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ მრავალი წლის განმავლობაში გაკოტრების რეჟიმში ოპერირებდა და მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, აბონენტებისგან თანხის ამოღების გარდა, თითქმის ვერ ასრულებდა... სისტემა ვერ ვითარდებოდა, მოძველებული ქსელის აღსადგენად კომპანიას ფინანსები არ გააჩნდა. ქსელი კი იმდენად ამორტიზებული იყო, რომ ყოველი სიოს წამოქროლების შემდეგ ესა თუ ის სოფელი ელექტროენერგიის გარეშე რჩებოდა. ვითარების განსამუხტად სახელმწიფომ კომპაია აუქციონზე მრავალჯერ გაიტანა, თუმცა, მისი შეძენის მსურველი არ ჩანდა და აუქციონი არაერთხელ ჩაიშალა. შემდეგ, როგორც იქნა, კახეთის რეგიონზე პასუხისმგებლობა იმავე კომპანიამ აიღო, რომელიც აბონენტების ელექტროენერგიით მომარაგებას მთელ საქართველოში უზრუნველყოფს. ერთადერთი გამონაკლისი მხოლოდ კახეთი იყო, სადაც სხვა კომპანია მუშაობდა, დანარჩენ რეგიონებში „ენერგო-პრო“ მუშაობდა, რომელმაც კახეთიც გადაიბარა. თუმცა, ამ ნაბიჯით კახეთის აბონენტებს განსაკუთრებული ცვლილებები არ უგრძვნიათ. ქსელის აღდგენითი სამუშაოები, რომელსაც სერიოზული სახე ექნებოდა, არც ამ კომპანიას დაუწყია.

ილია მარტყოფლიშვილი

# გვყავს თუ არა პატრონი?

საზოგადოებაში ხშირად გაიგონებთ ამ ფრაზას: – „ჩვენ პატრონი არა გვყავს“. „ეჰ, ჩვენ ხომ პატრონი არა გვყავს და..“ მრავალმნიშვნელოვნად და „ღრმადფილოსოფიურად“ (მთქმელის აზრით) ნათქვამი ეს სიტყვებ გულისხმობს, რომ „ვიღაც სხვამ“ (წარმოდგენაში ყოვლისშემძლე პატრონმა) უნდა აკეთოს და აწესრიგოს ყველა ის საქმე, რაც შვენს გარშემო ხდება და რაც არ მოგვწონს. მაგალითისათვის დღეს ერთ ფაქტორზე შევჩერდები. თითქმის ნახევარი საუკუნის წინ, როცა მე ამ ქალაქში მოვედი და დავსახლდი ევდოშვილის ქუჩაზე, ეს პრობლემა უკვე იყო. ამ პრობლემას ერქვა „შებილი“. შებილი გახლდათ საცდელად მოპოვებული კირქვის ამოღების შემდგომ დატოვებული უზარმაზარი ღრმული, რომელიც ევდოშვილის და ალადაშვილის ქუჩებს შუა მდებარეობდა და მდებარეობს დღესაც. მას გარშემო უვლის ევდოშვილის IV შესახვევის ორგანშტოებიანი გზები. გარშემო ცხოვრობს მოსახლეობა, რომელიც, იმ თავიდან და დღესაც აქ ჰყრის საყოფაცხოვრებო ნაგავს. პირველ ხანებში ეს ორმო იმდენად ღრმა იყო, რომ თვალის ჩასაწვდენად ნაპირს უნდა მიდგომოდი და ჩაგეხედა. მერე მოსახლეობამ ისე „იყოჩაღა“, რომ თითქმის ამოავსო, დაიწყო მეორე ეტაპი: - ზოგიერთებმა თავი აღარ შეიწუხეს და ორმოში კი არ ყრიდნენ ნაგავს, კიდეზე ახვავებდნენ. წარმოიშვა არნახული სიბინძურე, გაუსაძლისი ზაფხული სუნით, ბუზით და ვირთხებით გაჯერებული; თანდათან გაფართოვდა არეალი. წუხდა მოსახლეობა და გაიძახოდა: სადა გვყავს პატრონი, ეს რა უბედურებაა, შევწუხდით, აქ ცხოვრება აღარ შეიძლებაო... ის „პატრონი“ (მაშინდელი რაიკომი და ალმასკომი, რედაქციასთან ერთად) ხშირად აწყობდა რეიდებს, აკრიტიკებდა, თუ ვინმეს წაასწრებდა ფაქტზე, აჯარიმებდა კიდეც, მაგრამ მერე ზომებსაც ღებულობდა – კომუნალურ სამსახურს ავალებდა, „ბულდოზერით“ მიეხვეტათ ნაგავი. ეს ერთ-ორ წელიწადში ერთხელ ხდებოდა. მოსახლეობა კი ისევ თავიდან იწყებდა პროცესს, აგროვებდა ყოველგვარ ნაგავს და თან სულ წუწუნებდა, რომ პატრონი არ ჰყავდა. შებილის მიმდებარედ მცხოვრებმა კოტე ლოლაშვილმა (ღმერთმა აცხონოს მისი სული), რომელიც მაშინ საგზაო სამმართველოს უფროსი გახლდათ, ორგანიზება გაუკეთა, რომელილაც დიდი მშენებლობის საძირკველის ამონათხარი მიწა მოზიდა, ამოავსო ღრმული და ზედ ხეხილის ბაღი და ვაზის ხეივანი გააშენა. თუმცა, პრობლემა მაინც დარჩა, რადგან ღრმულის ერთი მხარე დაბალი იყო, მეორე მხარე მაღალი და სრულად ვერ გასწორდა ზედაპირი. მოსახლეობამ, რომელსაც „პატრონი“ არ ჰყავს, არ დაიზარა, არც შერცხვა და ისევ დაიწყო ნაგვის დაყრა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის სისუფთავისთვის მრავალი რამ გაკეთდა–დაიდგა სანაგვე ურნები, აშენდა მაღალი სტანდარტების მქონე ნაგავსაყრელი, მოწესრიგდა და თითქმის სრულად მოასფალტდა გზები, მოსახლეობა მაინც ვერ მიეჩვია, რომ წესრიგი დაიცვას. შებილის გარშემო მცხოვრებნი კი ორმოცდაათი წლის შემდეგაც ისევ ისე გაიძახიან: სუნი გვაწუხებს, ბუზებს და ვირთხებს ველარ ვიგერიებთ. ანტისანიტარია ჩვენს ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნისო. ერთხელაც ახალგაზრდებმა თხოვნით მომმართეს, დააყენეთ საკითხი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან, იქნებ მოხედონ აქაურობას და დასასვენებლად სკვერი, ან ბაღი, ან მოედანი გააკეთონ, რომ სისუფთავე იყოსო. იმაზე არავინ ფიქრობს, ვინ ქმნის ამ ანტიასანიტარიას? ყაზბეგისა და ერეკლეს ქუჩებიდან აქ ხომ არავინ მოიტანს ნაგავს, აქ ისევ მიმდებარე ქუჩებიდან მოაქვთ ყველაფერი, რაც კი მოეზედმეტებათ. რას არ ნახავთ აქ - საოჯახო და სამშენებლო ნარჩენებს, ქათმის, ღორის თუ საქონლის ნაკელს და მათ ლეშებს, მინის ნამსხვრევებს, პლასმასის ბოთლებს, პარკებს, თუნუქის ანარჩენებს და უამრავ „ანტიკვარს“. ამასწინათ, რამდენიმე ტომარა ნოტების წიგნები და რვეულები იყო დახვავებული, მერე ქარი ამოვარდა და მთელ მიდამოს მოეფინა, ბახის, ბეთჰოვენის, ჩაიკოვსკის, მოცარტის, ფალიაშვილის და სხვათა „მუსიკალური შედევრები“. სრულიად გაუგებარია, თუ მუსიკა არ უყვარდა, ამდენი წიგნი და რვეული როგორ მოაგროვა, თუ უყვარდა, ნაგავზე გადასაყრელად როგორ გაიმეტა?.. ოჯახაშენებულო, მიიტანდა მუსიკის სკოლაში, რამდენი ბავშვის მადლს მოისხამდა... ჰოდა, ამ სანახაობით გაოგნებულს შებილის მიმდებარედ მცხოვრები ქალბატონი შემომხვდა და შემომჩივლა: ხედავთ, რა დღეში ვართ? რატომ არაფერს დაწერთ?! და დააყოლა - „მაგრამ სადა გვყავს პატრონი!“ ვინ ჰყრის ამ ნაგავს-მეთქი, – ვკითხე. ვისაც არ ეზარება, ყველა, ვისაც საქონელი ჰყავსო, მიპასუხა. ვის ჰყავს საქონელი და ვინ ჰყრის, კონკრეტულად მითხარი-მეთქი. არა, მოიკლა თავი და თითი არავისკენ გაიშვირა. კარგია, მაბეზღარა რომ არ ხარ, მაგრამ მეზობლის ქმედება შენ რომ გაზარალებს და იტყვი, ასე ნუ იქცევიო, ეს მაბეზღრობაა თუ შენი უფლების დაცვა, იცხოვრო უსაფრთხო გარემოში?! ხალხო, ვინ „პატრონს“ ელოდებით, თქვენ ცხოვრობთ მანდ და თქვენი უფლებების დასაცავად ხმა თუ ვერ ამოგიღიათ, თუ ვერ მიმხვდარხართ, რომ თქვენვე აბინძურებთ და ანაგვიანებთ თქვენს გარშემო ტერიტორიას, მაგ ყველაფერს ხომ თქვენ თვითონ ჰყრით, არ გინდათ, ერთმანეთს „აწყენინოთ“, ვინ დაგიდგებათ დარაჯად, ვინ დაიცავს წესრიგს?! ათჯერ და ასჯერ შეიძლება მოვიდეს მერიის ზედამხედველობის სამსახურიდან წარმომადგენელი, მაგრამ ფაქტზე ერთხელაც ვერავინ დაიჭიროს, რომ ჯარიმა გამოუწეროს. ვერა და ვერ გავიგეთ, რომ ჩვენი თავის პატრონები ჩვენ ვართ, თითოეული ჩვენგანი, რომ ჩვენ უნდა ავიმაღლოთ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და ჩვენს გარშემო გარემოს ისევე მოვუაროთ და ვუპატრონოთ, როგორც საკუთარ ეზო-კარმიდამოს. ნუ ველოდებით ვიღაცა სხვას, რომელიც ჯადოსნურ ჯოხს აიქნევს და ჩვენს პრობლემას გადაჭრის. გავიგოთ, რომ ჩვენი თავის პარტრონები ჩვენვე ვართ. შენიშვნა მისცე მეზობელს და მოსთხოვო, ისარგებლოს სანაგვე ურნით და თუ ნაგავს ურნის მოცულობა ვერ აკმაყოფილებს, ვისარგებლოთ ნაგავსაყრელით, სულაც არ არის უხერხული. უხერხული ის არის, ნაგავსა და ჭუჭყში რომ ვცხოვრობთ.

15 სექტემბერი მსოფლიო დასუფთავების დღეა. ვეცადოთ, მონაწილეობა მივიღოთ ჩვენი გარემოს გაჯანსაღებაში.


ეს ძველი „დიდების“ ნაშთებია!


ეს კი გადასუფთავებული „შებილია“

P.S. გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც „შებილიდან“ სიგნალი მოვიდა, ჩვენც წავედით და გადავამოწმეთ. ვიღაც მადლიანს, ან „პატრონს“, რომელსაც მოსახლეობა ელოდებოდა, (დროის სიმცირის გამო ვერ გავარკვიეთ), ნაგავი გადაუხვეტავს და იქაურობა მოპიწპიწებული დაგვხვდა. საინტერესოა, რამდენხანს შეინარჩუნებს ხალხი ამ გასუფთავებულ ტერიტორიას

ნაირა გორაშვილი.

# დასუფთავების აქცია დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი მსოფლიო დასუფთავების დღეს შეუერთდა. აქციის ფარგლებში გაიწმინდა ქ. დედოფლისწყაროს რეკრეაციული ზონები. დასუფთავების აქცია მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში გაიმართა. კამპანიას - „Let's Do It! World! - მოდი გავაკეთოთ ეს მსოფლიოსთვის“ - საფუძველი 2008 წელს ჩაეყარა და ის ყოველწლიურად 14-15 სექტემბერს ტარდება. ამ დროისთვის აღნიშნულ ინიციატივაში მსოფლიოს 150 ქვეყანაა ჩართული.

აქცია ჩაატარეს დედოფლისწყაროს ყველა მოქმედ სკოლაშიც. სასარგებლო ინიციატივას პედაგოგებიც შეუერთდნენ და გარემოს დასუფთავების საქმეში საკუთარი წვლილი სანავლო წლის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე შეიტანეს.


ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა


დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლა










გაზეთ „შირაქის" რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

## 1954 WLIS SEQTEMBERI

● MZIS SRULI DABNELEBA WELS, 30 IVNISS SAQARTVELOSIC MOXDA. CVENS RAIONSI MORRUBLULOBIS GAMO WITELWYAROEL MSROMELEBS AR MIECAT SASUALEBA DAHKVIRVEBODNEN BUNEBIS AM ISVIAT SANAXAOBAS. CNOBILIA, ROM MZIS SRULI DABNELEBA DEDAMIWIS ERTIDAIGIVE ADGILISTVIS 200-300 WELIWADSI ERTXEL XDEBA, AMITOM CVEN MAS VERAR VIXILAVT. MAGRAM, MZIS UAXLOESI SRULI DABNELEBA, ROMELIC SABWOTA KAVSIRIS TERITORIAZE GAMOCNDEBA, MOXDEBA 1961 WLIS 15 TEBERVALS. SRULI DABNELEBIS ZOLI GADAIWIMEBA 200 KM SIGANEZE, BULGARETSA DA RUMINETIS SAZRVREBIDAN YIRIMAMDE. SABWOTA KAVSIRIS MRAVALI ADAMIANI DATKBEBA AM SANAXAOBIT. SABWOTA MECNIEREBS KI MIECEMAT SASUALEBA, GAMOIKVLION MZIS FIZIKURI BUNEBA DA MISI GAVLENA DEDAMIWAZE.

## 1957 WLIS SEQTEMBERI

● WITELWYAROSI BOSTNEULI AR ISOVEBA!.. RAIONIS CENTRSI BOSTNEULIS MXOLOD ERTADERTI MARAZIAA, MAGRAM AQAC ISVIATAD ISOVEBA KARTOFILI, PAMIDORI, XAXVI, XILEULI DA SXVA. SOFLIS KOOPERATIVIS GAMGEOBAM GADAMWRELI ZOMEBI UNDA MIIROS IMISATVIS, ROM BOSTNEULIS MARAZIA TAVIS ZIRITAD DANISNULEBAS MTLIANAD AMARTLEBDES DA XALXI IMEDGACRUEBULI AR GADIODES MARAZIIDAN.

● SOFEL JAFARIZIS SAPARIKMAXEROSI SISTEMATIURAD IRRVEVA WESRIGI. IMIS MAGIVRAD ROM PARIKMAXEREBI S. YOCIASVILI DA V. QADAGIZE KULTURUL MOMSAXUREOBAS UWEVDNEN KLIENTEBS, XSIRAD KETAVEN KARS DA ZMABIWEBTAN RVINOS SVAMEN. SEMDEG KI, ROCA MOESURVEBAT, GAXSNIAN KARS DA NASVAM MDGOMAREOBASI AGRZELEBEN MUSAOBAS. UDISCIPLINO MOSAMSAXUREEBIS MIMART SATANADO ZOMEBI UNDA IQNAS MIREBULI.

● „SAQNAVTIS" WITELWYAROS KOMUNALURI KANTORA MUSATA SACXOVREBELI KORPUSEBIS SANAGVE YUTEBIS GASUFTAVEBAS YURADREBAS AR UTMOBS. AMIS GAMO NAGAVI MIWAZE IBNEVA DA IRGVLIV TERITORIAS ABINZUREBS. KANTORAM DA SANEPIDSADGURIS MUSAKEBMA SATANADO ZOMEBI UNDA MIIRON SANITARULI WESEBIS DASACAVAD DA MOQALAQETA SACXOVREBLAD JANSARI PIROBEBIS UZRUNVELSAYOFAD.

## 1961 WLIS SEQTEMBERI

●. SSR KAVSIRIS UMARLESI PREZIDIUMIS BRZANEBULEBIT SAQARTVELOS MASWAVLEBLEBIS DA SAXALXO GANATLEBIS MUSAKTA DIDI JGUFI DAJILDOVDA SSR KAVSIRIS OEDENEBITA DA MEDEBIT. MAT SORIS WITELWYARODAN: SROMIS WITELI DROSIS ORDENIT - SAXALXO GANATLEBIS RAIONULI GANYOFILEBIS GAMGE MARIAM LAPIASVILI; `SAPATIO NISNIS~ ORDENIT - NATALIA MAQSIMOVA, RUSULI SKOLIS MASWAVLEBELI; TENGIZ IAKOBISVILI - RAIONIS SAXALXO GANATLEBIS INSPEQTORI.

● AGVISTOS BOLOS, SARAMOS 5 SAATZE ZEMO MACXAANSI, SAMUSAO SAATEBSI, AVTOMZROLMA S. BOSTASVILMA ZOMAZE METI RVINO DALIA DA GEDIQIS XEVIS MIMARTULEBIT DAESVA. SVLA MARALI SICQARIT GANAVITARA. ARBOSIKIS GZAZE, ERTERT MOSAXVEVSI, WYLIS ONKANTAN BAVSVEBI TAMASOBDNEN. RVINISGAN GONEBAGAMXIARULEBULMA MZROLMA MANQANA VERAR DAAMUXRUWA DA 13 WLIS BIWS DAEJAXA. IS IQVE GARDAICVALA. MZROLI ADGILZE DAAKAVES DA MALE WARSDGEBA SAMSJAVROS WINASE.

● DABA WITELWYAROSI SOFLIS KOOPERATIVIS GAMGEOBAM GAXSNA WURWLIS GAMQIRAVEBELI MARAZIA. MOMXMAREBLEBS SEUZLIAT, IQIRAON SADILIS DA SAUZMIS TEFSEBI, BOTLEBI, DANA-CANGALI, WIQEBI DA SXVA. GADAIXDIT PREISKURANTIT GATVALISWINEBUL TANXAS.

● `SIMTVRALIS DROS XULIGNOBISTVIS SAMJERNASAMARTLEVIA WITELWYAROSI MCXOVREBI DIMITRI OSADCI. MAGRAM, ROGORC CANS, SATANADO DASKVNA VER GAAKETA DA KVLAV ARRVEVS ZOGADOEBRIV WESRIGS. AMASWINAT SAKOLMEURNEO BAZARSI DATVRA, ATEXA CXUBI DA ERTI MOQALAQE DASWRA DANIT. GAMOUSWOREBELI XULIGANI SASTIKAD UNDA DAISAJOS,~ - GVWERS MILICIIS UFROSI LEITENANTI A. XARASVILI.

● WELS RAIONIS MSROMELEBI WARMATEBIT IBRZVIAN XORCIS WARMOEBIS MNISVNELOVANI GADIDEBISTVIS. ISINI SUL AXAL-AXAL REZERVEBS AVLENEN NAKISRI VALDEBULEBEBIS PIRNATLAD GANARDEBISTVIS DA BEVRGAN KARG SEDEGSAC ARWEVEN. ARBOSIKIS KOLMEURNEOBAM 7 TVESI UKVE SUQEBIDAN MOXSNA DA SAXELMWIFOS MIHYIDA 834 SULI RORI, XOLO AMJAMAD SUQEBAZE UDGA 579 SULI, ROMELSAC MALE MIHYIDIS QVEYANAS. AM SAXELOVAN SAQMESI DIDI WONAWILEOBAS REBULOBEN AGRETVE MEZROXEOBIS FERMIS MUSAKEBI. SAWVELI ZROXIS BRIGADEBSI, SADAC ADGILZE AXDENEN RZIS GADAMUSAVEBAS, RZIS ANARCENEBS IREBEN ROREBIS GASASUQEBLAD. MAGALITAD MEZROXEOBIS # 2 BRIGADASI MWVELAVEBMA GAASUQES DA SAXELMWIFOS MIYIDES 5 TONAMDE RORIS XORCI, AMJAMAD SUQEBAZE YAVT 52 RORI. ROREBIS ASETI WESIT SUQEBA KIDEV ERTI DAMATEBITI REZERVIS GAMOVLINEBAA. MISI GAMOYENEBA MNISVNELOVNAD AIAFEBS WARMOEBULI PRODUQCIIS TVITRIREBULEBAS DA XELS UWYOBS XORCIS WARMOEBIS GADIDEBAS.

● SAQARTVELOS GASABWOEBISA DA KOMUNISTURI PARTIIS DAARSEBIS 40 WLISTAVIS ARSANISNAVAD SOFEL ZEMO MACXAANIS STALINIS SAXELOBIS KOLMEURNEOBIS MEFRINVELEOBIS FERMIS MUSAKEBS SORIS AXALI ZALIT GAISALA SOCIALISTURI SEJIBREBA. MEFRINVELETA TAVDADEBULMA SROMAM SEDEGI GAMOIRO. JAMURAD, TITO DEDALZE MIREBULIA 106 CALI KVERCXI. BRIGADEBS SORIS MOWINAVEA DARIKO RVEDASVILIS BRIGADA. AM BRIGADAM TITO DEDALZE UKVE MIITVALA 110 CALI KVERCXI.

● IVLISIS TVESI CVENI GAZETIS FURCLEBIDAN VIUWYEBODIT, ROM WITELWYAROS SASAKLAOS MSENEBLOBA WIANURDEBA. REDAQCIAM REIDI GANAXORCIELA DA MKACRAD GAAKRITIKA. PASUXAD, MSENEBLOBIS UFROSI INJINERI N. MWEDLISVILI GVWERS, ROM GAZETSI DAWERILI FAQTEBI SINAMDVILEA. SAQMESI ZEMDGOMI ORGANOEBIS CARTVIS SEMDEG NAKLOVANEBEBI GAMOSWORDA. REGULARULAD SEMODIS SASENI MASALEBI, UZRUNVELYOFILI VART TRANSPORTITA DA MUSAXELIT, MSENEBLOBA NORMALURAD MIMDINAREOBS.

● ARIAN ISETEBIC, ROMLEBIC SROMAS GAURBIAN DA OJAXS ARCXVENEN. ASETIA ARXILOSKALOELI BUCUKURI VALIKO. ES VAJBATONI ARC WINAT IYO SAQMIS MUWUWI, MAGRAM GVEGONA DACOLSVILDEBA DA GAMOSWORDEBAO. AM PERIODSI ISETI DROA, ROM ITYVIAN WIANWVELAC SROMOBSO. MITUMETES BUCUKURS UKVE COLSVILI HYAVS DA METI GARJA MARTEBS, MAGRAM KALOOBA ISE DAMTAVRDA TITI TITZE AR DAUKAREBIA. CEQMEBGAMOWKEPILI YOVELDRE BIRJAZE DGA DA ASE FLANGAVS DROS. KOLMEURNEOBIS XELMZRVANELEBMA SAMUSAO RAMDENJER SESTAVAZES, MAGRAM ARCERTI AR INDOMA. ASEVE SROMAS GAURBIS NUGZAR PATASURI. SXVA ARXILOSKALOELI MSROMELEBI KI MOITXOVEN, ISINIC CAEBAN SASARGEBLO SROMASI DA WVLILI SEITANON SAQMIANOBASI.

● ZEMO MACXAANSI 10 SEQTEMBRIDAN EQSPLOATACIASI GAESVA AXALI SAKOLMEURNEO ABANO, ROMELIC ERTDROULAD 30 KACS GAUWEVS MOMSAXUREOBAS. ABANO IMUSAVEBS PARASKEVS, SABATSA DA KVIRAS, ASE ROM, IS UKVE CADGA MACXAANELEBIS HIGIENIS DACVIS SAMSAXURSI.

● ARBOSIKIS KOOPERATIVIS WIN, GZAJVAREDINZE UAMRAVI XALXI SEYRILIYO. ZOGI COCQOLOBDA, ZOGIC BRAZOBDA. KOLMEURNEOBIS KANTORASI TAXTZE 12 WLIS BIWI IWVA, TUCI HQONDA GAXETQILI DA SISXLS VER UCEREBDNEN. TIRODA DA GULI UTRTODA. MAS DASTRIALEBDNEN DARAJI IVANE UTRUTASVILI DA DAMLAGEBELI ANA SEFIASVILI. KOLMEURNEOBIS TAVMJDOMAREM MIXEIL ALADASVILMA DAAMTAVRA TU ARA MILICIASTAN LAPARAKI, ANERVIULEBULMA GVIAMBO: TURME ES BAVSVI, ZAURI GOGASVILI DA MISI AMXANAGI GIVI SEFIASVILI TAMASOBDNEN, ZAURIS ASANTI GAUKRAVS DA NAPERWKALI GIVIS MOXVEDRIA. ATIREBULI, DAMWVARI XELIT MAMASTAN MIVARDNILA, MAMA GANRISXEBULA DA GZAJVAREDINZE UCEMIA ZAURI. ISE GATAVXEDEBULA, WAAQCIA DA SAXESI CASCA WIXLI, ABA ES KACOBAA?~.. ES `RAINDI~ KOLMEURNEOBIS TRAQSTORISTI ZURAB SEFIASVILIA, MAN USATUOD PASUXI UNDA AGOS.

(STILI DACULIA)

**მოამზადა**
ილია მარტყოფლიშვილმა

# მოკრივეების წარმატება ბაქოში



8-9-10 სექტემბერს ორთაბრძოლების საერთაშორისო ფესტივალი აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში მიმდინარეობდა, რომელიც ტაილანდური კრივის მსოფლლიო ფედერაციის **(IFMA)**-ს ეგიდით იმართებოდა. ჩემპიონატმა სტარტი აიღო ბაქოს ოლიმპიურ სპორტულ კომპლექსში. ფესტივალზე მონაწილეობას ღებულობდა მრავალი ქვეყნის სპორტული დელეგაცია მათ შორის საქართველოს ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი გოჩა ჯავახია) სპორტსმენები.

დედოფლისწყაროელები, **ნუგზარი ყარაგვეზაშვილი** (60კგ) და **ირაკლი ჯამასპიშვილი** (81კგ) მწვრთნელ თამაზ ყარაგვეზაშვილთან ერთად... სასიხარულოა, რომ ორივე სპორტსმენმა აღნიშნულ ჩემპიონატზე გაიმარჯვა ორთაბრძოლების ურთულესს სახეობაში, ტაილანდურ კრივში და საქართველოში ოქროს მედლებით დაბრუნდნენ.

# კ რ ო ს ვ ო რ დ ი



შვეულად: 1. თასი, რომელშიც თქმულებით ქრისტეს სისხლი იყო მოგროვილი და რომლის დანახვაც მხოლოდ მაღალი ზნეობის ადამიანს შეეძლო 2. თუთისებრთა ოჯახის შხამიანი ხე 3. კოსმონავტი ძაღლები: ბელკა და ... 4. სტივენ სიგალის კინოგმირი 5. პლანეტა, რომელსაც აქვს რგოლები 6. ცისარტყელას ქალღმერთი 8. უძველესი ხალხური თქმულება 12. მუსლიმანთა წმინდა შავი ქვა მექაში 13. ამ სახელწოდების სოფელი ადიგენშიცაა და დუშეთშიც 14. ფილმი რაჯ კაპურის მონაწილეობით 15. ჰუნების ბელადი 16. წინაღობის შებრუნებული სიდიდე 19. სომხეთის უძველესი დედაქალაქი 21. სიძუნწით განთქმული ფრანგი პოლიტიკოსი, რომლის სახელიც უწოდეს მკაცრი ხაზებით შექმნილ შავ-თეთრ ნახატს 23. დავით ნარინი და დავით ... 25. სიგრძის საზომი ერთეული. უდრის სამ ადლს 26. ისტორიული ქალაქი ერაყში 27. მონღოლთა სახელმწიფო შუა საუკუნეებში ოქროს ... 28. რომელ ქალაქში ტარდება კინოფესტივალი, რომლის მთავარი პრიზია ოქროს პალმის რტო 29. გაბროვოელების კუდმოჭრილი სიმბოლო

თარაზულად: 4. რომელმა ატმოსფერულმა მოვლენამ, აიძულა ინგლისელი პარლამენტარები დაეყენებინათ ქუჩებში ფარნები 7. ქრონოსი იყო დროის მფარველი ღმერთი. ამასთან დაკავშირებთ, რა უწოდეს თავდაპირველად საათებს 9. ბოსტნეული, რომელიც 96% წყალს შეიცავს. დანარჩენი ნაწილი კი შეიცავს ისეთ ბაქტერიციდულ ნივთიერებებს, რომლებიც სპობენ ყვითელ სტაფილოკოკებს 10. ადგილობრივი წარმოების ჩაის საკრეფი მანქანა 11. "ილიადაში" მოხსენიებული ქალაქი, რომლის ნანგრევები კომერსანტმა შლიმანმა აღმოაჩინა 12. საბუნებისმეტყველო მეცნიერება, რომელიც შუა საუკუნეებში ბერებმა განავითარეს 15. ავადმყოფობის განვითარების უმაღლესი წერტილი 17. ისტორიული მხარე ...–კლარჯეთი 18. რომელი ოპერა დაწერა ჯუზეპე ვერდიმ სუეცის არხის გახსნასთან დაკავშირებით 20. ტროპიკული ნაყოფი, რომელიც მკვახე მდგომარეობაში იმდენად ძლიერ მჟავას შეიცავს, რომ კბილის ემალს აფუჭებს 22. სამედიცინო ტერმინოლოგიის ენა 24. ერთუჯრედიანი ორგანიზმი „ცრუ" ფეხით 28. მცენარე პევეას წვენი, სამრეწველო ნედლეული 30. მანსარდი ფრანგი არქიტექტორია, რომელსაც ეკუთვნის ვერსალის სასახლის პროექტი. მისი გვარიდან გამომდინარე, რა უწოდეს სახლის დაქანებული სახურავის ქვეშ გამართულ საცხოვრებელ ადგილს 31. აზოტმჟავას მარილების ზოგადი სახელწოდება 32. კორიდის მონაწილე შუბოსანი მხედარი

თამრიკო (ჯულეტა) თარაშვილი, ლაშა და ლევანი ლაპიაშვილები, გივი, ნინო და ნიკა ალადაშვილები ოჯახებით იუწყებიან
ლილი უზუნაშვილ-თარაშვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

# მრავალშვილიან ფოცხვერაშვილებს კამეჩი მოპარეს

***დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოში სოცალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახიდან კამეჩი მოიპარეს. ფოცხვერაშვილების 7 შვილიან ოჯახს საცხოვრებელი სახლი არ აქვს, რის გამოც სოფლის აბანოს ძველ შენობას აფარებენ თავს. ნაჩუქარი კამეჩი მათი ოჯახის ერთადერთი მარჩენალი იყო. როგორც ფოცხვერაშვილები ამბობენ, კამეჩი ეზოში მდებარე სადგომში დამწყვდეული ჰყავდათ, დილით კი ადგილზე აღარ დახვდათ. სოფელ სამრეკლოში მომხდარ ფაქტზე მოკვლევას დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველო აწარმოებს.***

სოფელ სამრეკლოში სოფლის ყოფილი აბანოს შენობაში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახს გაზეთ „შირაქის“ მკითხველი კარგად იცნობს. რედაქციამ მათი მძიმე ყოფა მკითხველს ჯერ კიდევ 10-12 წლის წინ გააცნო. ნაირა გორაშვილის მასალაში „უტორტოდ და უსანთლებოდ“ დეტალურად იყო მოთხრობილი, როგორ შესახლდა ხელმოკლე ოჯახი სოფლის აბანოს გაუქმებულ, თითქმის ნანგრევებადქცეულ მოუხერხებელ შენობაში და როგორ აღნიშნავდნენ ბავშვების დაბადების დღეებს უტორტოდ და უსანთლებოდ... ისტორია იმდენად სულისშემძვრელი იყო, ისე ემოციურად იყო გადმოცემული, რომ დღემდე რჩება ბევრი ჩვენგანის მეხსიერებაში.

2013 წელს აბანოში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახი კიდევ ერთხელ აღმოჩნდა საზოგადოების ყურადღების ცენტრში და მათ შორის გაზეთ „შირაქის“ ფურცლებზეც. ამჯერად ამბავი კიდევ უფრო დრამატული იყო. სოფელში მდებარე ერთადერთი მართლმადიდებლური ტაძარი 2013 წლის 9 აგვისტოს ღამით გაქურდეს. სერაფიმე საროველის სახელობის ტაძარში მისულ ეკლესიის მსახურებს ტაძრის კარი გატეხილი დახვდათ. დაზიანებული იყო ტაძარში არსებული შესაწირი ყუთების ბოქლომებიც, საიდანაც ფულადი თანხა დაიკარგა. მეორე დღესვე დედოფლისწყაროს პოლიციამ ამ ფაქტზე 1992 წელს დაბადებული აკაკი ფოცხვერაშვილი დააკავა. გამოძიებით დადგინდა, რომ შესაწირი ყუთიდან დაკარგული თანხა 60 ლარს არ აღემატებოდა. ამ ფულით აკაკიმ პური და ძეხვი შეიძინა, დანარჩენი თანხა კი არ დაუხარჯავს. ეკლესიიდან 60 ლარის ქურდობის გამო აკაკი ფოცხვერაშვილს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა. თავდაპირველად ეპარქია დუმდა, რის გამოც პროკურატურა მკაცრ პოზიციას იჩენდა და ბრალდებულის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, ლოიალობის გამოჩენას არ აპირებდა. თუმცა, საზოგადოებისა და მედიის განსაკუთრებული აქტიურობის შემდეგ სიღნაღის სასამართლოს დარბაზიდან ის საპროცესო შეთანხმებით გამოუშვეს. ეპარქიამ პოზიცია მალე შეცვალა. ბიჭი პატიმრობიდან მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიამ, რომელიც დაზარალებულად იყო ცნობილი, მისი გათავისუფლება და დამნაშავის სულიერი აღზრდისთვის ეკლესიისთვის მიმაგრება ითხოვა. ექსპერტიზის შედეგად ცნობილი გახდა, რომ დაკავებულ აკაკი ფოცხვერაშვილს ფსიქიკური აშლილობა დაუდგინდა, ის რეაბილიტაციის კურსს გადიოდა. შემდეგ კი ეპარქიის გადაწყვეტილებით, ამავე ეკლესიის ეზოში, სარეაბილიტაციო სამუშაოებში ჩართეს.

მას შემდეგ ოჯახის ყოფა კიდევ უფრო გართულდა. სოციალური მომსახურების სააგენტომ ფოცხვერაშვილებს ყოველთვიური საარსებო შემწეობა ჯერ კიდევ მაშინ შეუწყვიტა, როცა აკაკი ფოცხვერაშვილის სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა. დახმარების აღდგენა ბევრჯერ სცადეს, მაგრამ როგორც „შირაქმა“ გაარკვია, მათი სარეიტინგო ქულები ისევ მაღალია, რის გამოც შემწეობას არც ამჟამად იღებენ. ბოლო ხანს მათი ყოფა იმდენად გაუსაძლისი გახდა, რომ დედა, მაია ფოცხვერაშვილი იძულებული გახდა, ქვეყანა დაეტოვებინა და სამუშაოდ საზღვარგარეთ გადახვეწილიყო.

„ძალიან გაჭირვებული ოჯახია, თავშესაფარი რომ არ ჰქონდათ, მთავრობამ წლების წინ სოფლის აბანოში შეასახლა. ძალიან ვიწროდ ცხოვრობენ, ბევრნი არიან და ვერ ეტევიან, შიგნით სულ ქვის იატაკია და ძალიან ცუდ პირობებში არიან. გაჭირვებით და შავი დღით ცხოვრობენ. ერთი ზაქი ჰყავდათ, რომელიც აჩუქეს და ისიც მოპარეს. არ ვიცით, რანაირად მოხდა, ან ვის შეიძლება ჩაედინა, მაგრამ ფაქტია, რომ ისიც დაკარგეს. იქნებ ვინმე პატრონი გამოჩნდეს და გვერდით დაუდგეს ამ ოჯახს. თქვენს მიერ პრობლემების გაშუქებამ ჩვენს სოფელში კონკრეტული შედეგი უკვე აჩვენა, ჭამიაშვილებს დაეხმარნენ და კარგია, ამ ოჯახის გასაჭირსაც თუ გამოაქვეყნებთ, იქნებ ვინმე ამოეშველოს, ვინმემ გულთან მიიტანოს. სულ ბიჭები არიან და იზრდებიან, დაოჯახება დასჭირდებათ და ძალიან ცუდ დღეში არიან,“ – აღნიშნავენ სოფელ სამრეკლოს მაცხოვრებლები.



„აკაკიმ ფერმაში იმუშავა და ამის შემდეგ აჩუქეს 3 თვის ზაქი. ხელფასიც მისცეს, მაგრამ კარგი ქცევისთვის წაახალისეს და პატარა ზაქი გამოატანეს საჩუქრად. ორი წელი გვყავდა, შვილივით გამოვზარდეთ, იმედს მასზე ვამყარებდით, მაგრამ დავკარგეთ... დღემდე დადიან, ყველგან ეძებეს, მაგრამ კვალი არ ჩანს. ათენში ვარ ერთი წელია. სხვა გამოსავალი რომ არ მქონდა, გადავწყვიტე, გადავხვეწილიყავი. ხშირად უმუშევრად ვარ, მიჭირს სამსახურის პოვნა. ამჟამადაც ასე ვარ. წასვლაზე მანამდეც მიფიქრია, მაგრამ ვიდრე უვიზო რეჟიმი არ ამოქმედდა, მანამდე ვერ ვახერხებდი. შარშან კი უკვე ვიზის გარეშე შემეძლო წასვლა. ნათესავმა გამომიგზავნა გზის ფული და ასე მოვახერხე საბერძნეთში წასვლა. პირველ ხანს რაც ვიმუშავე, ეს ნასესხები თანხა დავაბრუნე. მეგონა, აქ მაინც ამოვისუნთქებდით, მაგრამ ხშირად უმუშევრად ვარ. ერთერთი შვილიც აქ წამოვიყვანე, მაგრამ უნარშეზღუდულია და მუშაობას საერთოდ ვერ ახერხებს, ამიტომ ამ დღეებში მინდა უკან გამოვგზავნო, მაგრამ ჯერ გზის ფული არ გვაქვს.

მე დედოფლისწყაროში დავიბადე, ჩემი მეუღლე საგარეჯოდანაა, მაგრამ იქ ისე ვიწროდ ცხოვრობდნენ და იმდენად რთული პირობები იყო, დარჩენას აზრი არ ჰქონდა და ისევ დედოფლისწყაროში წამოვედით. საკუთარი ჭერი არასოდეს გვქონდა. თავიდანვე ასე ბარგაკიდებულები დავდიოდით, ხან სად ვცხოვრობდით, ხან სად. შემდეგ კომუნისტური რეჟიმი რომ დაიშალა, მთავრობას ვთხოვდით, ჩენი ოჯახისთვის თავშესაფარი მოეცა. დღემდე მახსოვს, როგორ დამცინოდნენ, თუ არც სახლი გაქვს და არც შესაძლებლობა, აბა ამდენ შვილს რატომ აჩენდიო, თუ გააჩინე, მაშინ დაარჩინეო. სხვა შენობა აღარ მოიძებნა და ისევ აბანოს შენობაში შევსახლდით. თქვენ წარმოიდგინეთ, ამისიც წინააღმდეგნი იყვნენ. შემდეგ კოლმეურნეობის კომისია შეიკრიბა და ეს შენობა გვაჩუქეს. მიუხედავად იმისა, რომ კომისიის რამდენიმე წევრისგან უხეში დამოკიდებულება ვიგრძენი, საბოლოო ჯამში შენობა მაინც დაგვითმეს. განათლება მხოლოდ ერთ შვილს მივეცი, ისიც იმიტომ, რომ ნათესავები დაგვეხმარნენ და შემდეგ კოლეჯშიც იარა. დანარჩენებს ტანსაცმელი არ ჰქონდათ, ხშირად ამის გამო ვერ ახერხებდნენ სკოლაში სიარულს და ამან გავლენა მოახდინა მათზე. არცერთს არ აქვს განათლება, თუმცა არაფერს არ თაკილობენ, თუკი რამე გამოჩნდა და ვინმემ დაუძახა, მზად არიან იმუშაონ. ბავშვები იზრდებიან და ამ შენობაში ველარ ვეტევით. ჯერ მანამდეც ძალიან ვიწროდ ვიყავით, რაც იზრდებიან წარმოუდგენელი ხდება იქ ცხოვრება. ამიტომ გადავიხვეწე ჩემი ქვეყნიდან, იქნებ ნორმალური ჭერი ჩვენც გველირსოს,“ – განუცხადა „შირაქს“ მრავალშვილიანმა დედამ მაია ფოცხვერაშვილმა.

ილია მარტყოფლიშვილი

## ყურადღება!

თუ გსურთ შეიცვალოთ იმიჯი, გქონდეთ ლამაზად და მოდურად შეჭრილი თმა, იყოთ ლამაზი და მომხიბვლელი, კაცებმაც და ქალებმაც მიაკითხეთ **სილამაზის სალონს ჰერეთის (ყოფილი სტალინის) ქუჩის N67-ში** (საჯარო რეესტრის წინ). თქვენ აქ მოგემსახურებიან გამოცდილი სპეციალისტები ირინა ბალდასაროვი და ანა გონაშვილი. სალონში შეგიძლიათ ისარგებლოთ შემდეგი სერვისებით: თმის შეჭრა და შეღებვა, დავარცხნა, წარბის კორექცია. ფასები ხელმისაწვდომია.

## ყურადღება!

**დედოფლისწყაროს ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლა** აცხადებს **მოსწავლეთა მიღებას ახალი 2018 -2019 სასწავლო წლისათვის!** სკოლაში მიიღებიან 5-დან 31 წლამდე ასაკის პირები. კურსდამთავრებულებზე გაიცემა შესაბამისი საფეხურის გავლის დამადასტურებელი მოწმობები!

**მისამართი:** დედოფლისწყარო, 9 ძმის ქ. №10.

ადმინისტრაცია.

## განცხადება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 2018-2019 სასწავლო წლისათვის შემდეგ განყოფილებებზე:

**საფორტეპიანო,**
**სავიოლინო,**
**საგუნდო,**
**სამხატვრო.**



სკოლაში მოსწავლეები მიიღებიან 8-15 წლიდან, ხოლო სამხატვრო განყოფილებაზე - 9 წლიდან.

ასევე მოსწავლეთა მიღება შესაძლებელია ჩვენი სკოლის ფილიალებში: სოფ. ზემო ქედში, სოფ. არბოშიკში, სოფ. ზემო მაჩხაანში.

საბუთების მიღება იწარმოებს სექტემბრის ბოლომდე.

ადგილები შეზღუდულია, გთხოვთ, დროულად მოგვმართოთ!

**საკონტაქტო ტელეფონები:**
**555 450 650; 577 178 788.**

## ულოცავენ!

### მიმოზა გოგილაშვილს!

ჩვენო ძვირფასო მიმოზა, 22 სექტემბერს დაბადებიდან 80 წელი და ქორწინებიდან 60 წელი გისრულდება!

გილოცავთ ამ უმნიშვნელოვანეს და ძვირფას თარიღებს, გისურვებთ ასე მხნედ და სითბო-სიყვარულით სავსე გარემოცვაში გაგეტარებინოს ცხოვრება, შენს მრავალრიცხოვან ოჯახთან – ძვირფას მეუღლესთან, შვილებთან,შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან ერთად!

გვიყვარხარ და გვეიმედები!

**სიყვარულით, და-ძმა** ლილი და ვალიკო გოგილაშვილები, დისშვილები, ძმისშვილები.

## იყიდება ან იცვლება!

იყიდება კორპუსის სამოთახიანი ბინა ან იცვლება კერძო სახლზე.

მისამართი: რუსთაველის ქ №4, კორპუსი 31, მე-2 სართული, ბინა 9, სოკარის მოპირდაპირე მხარეს, ავტომაღაზიის მაღლა.

☎ 555 23 26 80

ეკატერინე. ფასი შეთანხმებით.

## ვაკანსია

გაზეთი „შირაქი“ *იწყებს სტაჟირების პროგრამას კორესპონდენტებისთვის და ეძებს ახალგაზრდა, კომუნიკაბელურ, ენერგიულ, შედეგებზე ორიენტირებულ კანდიდატებს, დასაქმების პერსპექტივით.*

აუცილებელი მოთხოვნები:

- *უმაღლესი განათლება (სასურველია ჟურნალისტიკის განხრით);*
- *ქართული ენის სამეტყველო და ლიტერატურული ნორმების სრულყოფილად ცოდნა;*
- *სოციალური ქსელების აქტიური მომხმარებელი.*

*გთხოვთ, გამოაგზავნოთ თქვენი CV თანდართული ფოტოსურათით მისამართზე: gazetishiraki@gmail.com , ან მობრძანდეთ გაზეთ „შირაქის“ რედაქციაში.*

*მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის ქ. №18*

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 17.09 | | სამშაბათი 18.09 | | ოთხშაბათი 19.09 | | ხუთშაბათი 20.09 | | პარასკევი 21.09 | | შაბათი 22.09 | | კვირა 23.09 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 22° | 17° | 18° | 15° | 16° | 14° | 19° | 16° | 16° | 14° | 15° | 13° | 17° | 15° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

REDAQCIIS MISAMARTIA:
ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.